


# მწყმეხი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსი კეთილმან ხელი თვისი დაჰსდის ცხოვართათვის. იოან. 10--11.  
 შივე ცხოვარი ჩემი წაწყნეული. მსრფთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15--4.  
 შიველთა ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტერბო მიმიწი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11--28.

№ 9—10

1883—1903

1—30 მაისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

- ოფიციალური განყოფილება:** განჩინება უწყ. სინოდისა სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოების შესახებ. —უმალღესი ბრძანება. სასულიერო უწყებაში მსახურებისათვის სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოების შესახებ.
- სალიტერატურო განყოფილება:** საუბარი, თქმული ყვირილის მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინის ეკლესიაში 11 მაისს, 1903 წ. დღე. დ. ლამბაშიძის მიერ. —წერილი რედაქციისადმი. —გარდაცვალება და დასაფლავება ელისავეტოვრადის ეპისკოპოსის ტიხონისა —ქ. პეტერბურგის 200 წ იუბილეი. —ახალი და ძველი ჭიათურა. მლ ბეს. ვაშაძე —შოკლე ცნობანი საზღვარ-გარეთელ სამთო აკადემიების შესახებ —თღი კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონის გარდაცვალება და დასაფლავება. —პატრი ანსელმო მღებრიშვილი. —უღროდ დაბერებული (ლექსი), თ. როსტომ ჩიქოვანი. —ფურნალ-გახეობებიდან —ახალი ამბები და შენიშვნები.
- სამაჟრნალო და პოეზიური განყოფილება:** ექიმის საუბარი გულისხმიერ მკითხველთან. ექიმი ვ. ლ—ძე.
- სწავლა და მადნიობა პრინციპალისა სარწმუნოებასა და კეთილ-ზნობაჟა:** სიტყვა, თქმული ღორების წმ. გიორგის ეკლესიაში 1903 წ. 6 აპრილს
- საპირი და სასარგებლო ცნობათა განყოფილება:** საექვო კითხვების განმარტება. —რედქციის პასუხი.

## ს ა შ ბ ა რ ი,

თქმული უფროდის შიავარ-მოწამეთა—დავით და კონსტანტინის ეკლესიაში 11 მაისს, 1903 წ. დღეის დღე, 11 მაისს დადებულია, ძმანო ქრისტოანენო, განსაკუთრებით იღვრესაწაულონ საეკლესიო სამყველო სკოლათა ხსენება სლავიანთ განმანალებელთა—კირილე და მეთოდისა. დღეს

რომ კვირა არ შეგვედრილიყო, რაც უბრალოდღე უნდა ყოფილიყო, მაინც სამრევლო სკოლებს უნდა ედღესასწაულებია. ამ სახით თანდათან განმტკიცდება სლოენა და კავშირი ამ წმიდათა ხალხთა და მოხარულთაობათა შორის. დიალ, სწორედ მშვენიერ განკარგულება არის. ჩვენ საქართველოს ხალხში იშვიათად შევხვდებით ამ წმიდანების ისტო-

რის მკოდნეთა და ამისათვის საჭიროდ ვრაცხ რამდენიმე სიტყვით გავაცნოთ ამ შესანიშნავ წმინდანთა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლითაც დაიმსახურეს მათ ასეთი სახელი რუსეთის ხალხისა და რომლითაც ღირსნი ვახდენ ივინი თავიანთი ხსენების დღესასწაულობისა და მთელი საზოგადოებისაგან პატივისცემისა.

ღირსნი მეთოდე და კონსტანტინე (კირილედ წოდებული) სლავიანთ მოძღვარნი, იყვნენ ტანის ძმები. ივინი იყვნენ შვილნი ერთი მდიდრის მხედართ-მთავრისა, ჩამომავლობით ბოლგარელი, რომელიც სცხოვრებდა სოლუნში (მაკედონიაში). უფროსი ძმა მეთოდე ახალგაზღობისას შევიდა სამხედრო სამსახურში და ძლიერ მალე შეიქმნა ერთი სამფლობელოს მმართველად სლავიანთ ქვეყანაში. ათი წლის შემდეგ სამსახურისა, იგი განეშორა და წავიდა ოლიმპიის მთაზე და მიიღო რა იქ ბერობა, მთლად მიეცა ღვთის-მსახურებას და ნიადგ კითხულობდა საღმრთო წერილს. უნკროსმა ძმამ კონსტანტინემ, პატარაობითვე გამოიჩინა თავი სწავლა-მეცნიერებით, როგორც საერო, ისე სარწმუნოებრივ და ზნეობრივ განათლებით. იგი აღიზარდა ერთად იმპერატორ მიხაილთან და ამ სახით მიიღო მშვენიერი განათლება, მაგრამ განათლების მიღების შემდეგ უარჰყო ყოველივე, რასაც უქადოდა მას თავისი მდგომარეობა და წავიდა ერთ უდაბნოში შავი ზღვის პირად. მალე შეიტყვეს მისი საქოვრებელი ადგილი; იგი თითქმის ძალით დააბრუნეს კისტლში და იქ მიიღო მღვდლობის ხარისხი, დაინიშნა წმიდა სოფიის ტაძარის გამგედ და ფილოსოფიის მასწავლებლად უმთავრეს სასწავლებელში. მეთოდე და კირილემ ქადაგება დაიწყეს რუსეთის სახელმწიფოდან. რვაას-ორმოცდათვრამეტ წელში ხაზარებმა, რომელნიც სცხოვრებდნენ დონის, ვოლგის და აზოვის ზღვის ნაპირებზე, გაგზავნეს დესპანი იმპერატორ მიხაილთან და სთხოვეს, რომ გამოგზავნა ვინმე წიგნის მკოდნე კაცი, რომ ერთია და დარიგება მიეცა მათთვის სარწმუნოების შესახებ. იმპერატორმა გაუგზავნა მათ კონსტანტინე, რომელიც დიდად ნაქები იყო სარწმუნოების დობაში სხვა-და-სხვა ნასწავლ პირებთან. წმიდა მეთოდე სიამოვნებით დათანხმდა, რომ წაყოლოდა თავის ძმას კონსტანტინეს (კირილეს). წმიდანი ძმანნი—კირილე და მეთოდე გამოვიდნენ ზღვიდან ხერსონესში, აქ ნახეს და გადა-

იტანეს მოციქულთა ტაძარში ნაწილები წმიდისა კლიმენტისა. მოვიდნენ ხაზარებთან თუ არა, მალე ასწავლეს მათ ქრისტიანთა სარწმუნოება და დაამკვიდრეს თუ არა ქეშმარიტ სარწმუნოებაზე, დაბრუნდნენ კონსტანტინეპოლის ქალაქში. ამის შემდეგ წმიდანი კირილე და მეთოდი მალე წავიდნენ სლავიანთა თავადების თხოვნით მორავიაში და აქ გადათარგმნეს რა ბერძნული ენიდან სლავიანურ ენაზე ღვთის-მსახურების წიგნები, (რომლისთვისაც საჭირო იყო პირველად ყოვლისა შეედგინათ სლავიანური ანბანი) დაიწყეს გავრცელება მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. იმათმა ქადაგებამ დიდი ნაყოფი მოიტანა: რამდენიმე წლის განმავლობაში სახარების სწავლით განათლდნენ მორავია, ბოლგარია, პანონია და სხვა ქვეყნები. 867 წელში ნემცის ეპისკოპოსთა დაბეზღებით, წმიდანი ძმანი კირილე და მეთოდი დაბარებულნი იყვნენ რომის პაპისაგან განსასჯელად. იქ 869 წ. 14 თებერვალს კირილე გარდაიკვალა და დაიმარხა წმიდა კლემენტოს ეკლესიაში, რომლის წმიდა ნაწილებით მოვიდა იგი რომში. კირილეს გარდაცვალების შემდეგ წმიდა მეთოდი გამართლებულ იქნა რომის პაპისაგან და დადგენილ მორავიის და პანონიის ეპისკოპოსად, სადაც შრომობდა თავისი სამწყსოსი განათლებაზედ, ქადაგებდა რა ქრისტეს სახარებას სხვა სლავიანთა ქვეყნების ხალხთა შორისაც (ჩეხებთა, ხორვატთა, დალმატებთა და სხ.) თავის ცხოვრების დასრულებამდისინ და მშვიდობით მიიძინა 6 აპრილს, 885 წელსა.

აი, მოკლე ისტორია ამ წმიდათა შესანიშნავი ცხოვრებისა. კირილე და მეთოდის გარდა მრავალი იყვნენ მქადაგებელნი ქრისტეს სარწმუნოებისა სლავიან ხალხთა შორის, მაგრამ ქრისტეს სახარების სწავლა არ გავრცელდა. განა ცოტას ქადაგებდნენ ნემცის ეპისკოპოსნი და ბერძენთა მქადაგებელნი სლავიანთა შორის? განა არ იშრომეს და მცირე ხარჯი მიიღეს ლათინთა მქადაგებლებმა, რომ სლავიანთა ხალხი მოექციათ და ქრისტეს სწავლით განენათლებიათ? ლათინები და ნემცები თავიანთ ენაზე უქადაგებდნენ ქრისტეს სწავლას და სურდათ, რომ სლავიანებს ქრისტეს სწავლის მიღებისათანავე, სხვა ეროვნებაც მიეღოთ. რამდენი მქადაგებელი იყო და რამდენი იშრომეს ბერძენებმა თავიანთ ენაზე გავრცელებინათ ქრის-

ტეს სწავლა სლავიანთა შორის, მაგრამ მათ გულს არ მოხვდა ბერძნების ქადაგება ბერძნულისავე ენით. აი ამ დროს კირილემ და მეთოდიმ პირველად შეადგინეს სლავიანურ ენაზე ასოები. ამ წმიდანებმა გასინჯეს ყოველი ენის ასოები, დამუშავებული ბევრად წინ სლავიანურ ენის ასოებზე და ისე შეადგინეს ანბანი და ამნაირად საფუძველი დაუდევს სლავიანურ ლიტერატურას ქვეყანაზე. არის თქმულება, რომ კირილე და მეთოდიმ სხვა ენათა შორის, განიხილეს ქართული ანბანიც და რამოდენიმე ასო ჩვენის ენის ანბანიდანაც გადაიტანეს და იხმარეს სლავიანურ ანბანში. როცა ამ წმიდანებმა წერილობით თავიანთ დედა-ენაზე დაუწყეს ქრისტეს სწავლის ქადაგება, აი მაშინ მოხვდა სლავიანთა გულს ქრისტეს მცნება და ქრისტეს სწავლამ განანათლა იგინი სულ მცირეს ხანში. რით გააერცვლეს მოციქულებმა სახარების სწავლა მცირე დროში, თუ არა მით, რომ იგინი ყოველ ხალხს უქადაგებდნენ მათ დედა-ენაზე, იმ ენაზე, რომელიც ხალხს ესმოდა და არც ერთი სიტყვა მქადაგებლისა გაუგებელი არ რჩებოდა? რამდენა ხანი დარჩებოდა კიდევ სლავიანთა ხალხი სიბნელეში, რომ კირილეს და მეთოდის არ შეედგინათ მათთვის ანბანი და მათ დედა-ენაზე, მათთვის გასაგონ ენაზე არ გაევერცვლებინათ ქრისტეს სწავლა-მეცნიერება?.. დიად, დიდი და დაუფასებელია ღვაწლი ამ წმიდათა მამათა, რომელიც მათ დასდევს სლავიანურ ენაზე ანბანის შედგენით და ამ სახით ლიტერატურის დაარსებით. უბედური და საცოდავია ის ხალხი, რომელსაც ლიტერატურა არა აქვს. ამისთანა ხალხში მკვდარია გონებითი ცხოვრება.

ვინ უფრო მეტად უნდა იღვწასწავლოს ღვაწლი წმიდათა კირილე და მეთოდისა, თუ არა მოსწავლეთა, რომელნიც ვარჯიშობენ, გონებით იწრთვნებიან და თითქმის ახლად იბადებიან! ქეშ-მარტად მშვენიერი განკარგულება არის მოხდენილი უწმიდესი სინოდისაგან—11 მაისის განსაკუთრებით დღესასწაულობისა. იმედია, რომ შემდეგში არა თუ მარტო სამრევლო სკოლების მოსწავლენი, არამედ ყველა სასწავლებლის მოწაფეთათვის დაიდება 11 მაისი სადღესასწაულოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად მშვენიერი განკარგულება უმადლესი მთავრობისა, რჩება აღუსრულებელი მათგან, ვინც ვალდებულია იგა ასრულოს. დღეს რომ კვირა არ ყოფილიყო, უბრალო დღეც ასე

უნდა გვედღესასწაულებია და ყველა მოსწავლენი ეკლესიაში უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი მასწავლებლებით. მაგრამ რას ვხედავთ სამწუხაროდ? ეკლესიაში არა თუ სხვა სასწავლებლების მოწაფენი, არამედ სამრევლო სკოლების მოსწავლენიც არ არიან! არ არიან იგინი ისე, როგორც არ არიან მათი აღმზრდელნი და მათი მოსწავლებლებიც... ხან-და ხან სამღერავი ისმის მოხარად თაობაზე და ისიც, სამწუხაროდ, სასწავლებელში ნამყოფთა შესახებ. საუბედურად ბევრია ამ არა სასურველ მოვლენათა მიზეზი, მაგრამ ვერ მოვთხოვთ მოსწავლეთა იმას, რაც არა აქვთ თვით მოსწავლებელთა...

რაც ზემოდ ვსთქვით, ყველასათვის ცხადია, მე ვგანებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედა-ენას სარწმუნოების და კეთილ ზნეობის სწავლის მიღებაში. ცხადია ყველასათვის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედა-ენას გონებით განვითარებაში და როგორ საადვილოა დედა-ენაზე გაერცვლება სახარების სწავლა-მეცნიერებისა, არა თუ მოსწავლეთა შორის. არამედ დიდებთა შორისაც. მაგრამ ვაი იმ ხალხს, რომელსაც თავისი დედა-ენა შესთულებია და რომელიც თავის დედა-ენას აღარ აფასებს! ამისთანა ხალხში მალე გაქრება სარწმუნოებაც, კეთილ ზნეობაც და თვით ხალხიც მალე გადაშენდება. ჩვენდა საუბედუროდ, ქვეყანაზე ხომ ვერსად ნახავთ ისეთ განათლებულს, სრულებით განათლებულს და ველოურ ხალხსაც, რომ ისე აბუჩად აეგდოს და ისე უყურადღებოდ დაეტოვებოთ თავისი დედა-ენა, როგორც ამას ჩადიან ზოგიერთი ჩვენი ვითომ „განათლებულნი“ ქალბატონები და ვაჟბატონები... დროა დაფიქრდეს ამაზე ყველანი და ვიხელმძღვანელოთ იმ მაგალითით, რომელიც ჩვენ წმიდათა მამათა—კირილე და მეთოდიმ გვიჩვენა სარწმუნოებისა და ზნეობის სწავლის მიღების საქმეში. დროა შევიგნოს ყველამ, რომ გაუგებარ ენაზე საღმრთო სჯულის სწავლება და ზნეობის ქადაგება, ტყვილა დროს დაკარგვია და გონების დაწლუნგების მეტს სარგებლობას ვერ მოუტანს მოსწავლეთ \*).

დკე. დ. დამაშაძე.

\* ) უწმიდესი სინოდის უქაზით, 1885 წ. ხსენება სლავიანთ განმანათლებელთა—კირილე და მეთოდისა, შერაცხილია საშუალო დღესასწაულოდ. დღეთის-მსახურება ამა დღისა სრულდება განსაკუთრებითი წიგნით. ამავე უქაზით დადგენილია როცა მოიხსენებინა ლოკვაში მსოფლიო განმანათლებელნი რუსეთის ეკლესიისა, წმიდა ნიკოლოზის შემდეგ უნდა მოიხსენიან წმიდათა შორის მამანი ჩვენნი მეთოდე და კირილე სლავიანთა განმანათლებელნიცა.

## წერილი რედაქციისადმი

მ. რედაქტორო!

ქურნალ „მწყემსის“ ამა წლის პირველ და მეორე ნომრებში დასტამბულია წერილი მარტვილიდან შესახებ სამრევლოის ეკლესიის უქონლობისა; როგორც შენიშვნა, ისე წერილი თავიდან ბოლომდის სიმართლეს მოკლებულია და არა მართალი, გამოწვეული არა ნამდვილი საქმის სიყვარულით, არამედ რაღაც პირადი ანგარიშით. ამისთანა უსაბუთო ამბავს, რასაკვირველია, შეცდომაში შეყავს საქმის ნამდვილი ვითარების არა მცოდნე მკითხველი, ამიტომ უმოჩინოვსად გთხოვთ „მწყემსის“ უმახლობელეს ნომერში ნება მიბოძოთ ვაუწყო მკითხველებს საქმის ნამდვილი ვითარება.

მარტვილის მცხოვრებთ, რიცხვით 250 კომლს, არასოდეს არ ქონიათ სხვა სამრევლო ეკლესიები გარდა მარტვილისა და ნახარებოვის ეკლესიებისა; ამ ეკლესიებში დადიოდნენ ისინი ყოველთვის წირვა-ლოცვის მოსასმენად და ამ ეკლესიებში სრულდებოდა მათთვის ყოველ-გვარი მღვდელ-მოქმედება, ხოლო სასაფლაო ქონდათ მათ ცალკე, მარტვილის ეკლესიის მიხლობლად, სახელდობ „ქვენიანედ“, თვით მარტვილის ეკლესიაში (ეხლა მონასტერში) როგორც შეგნით, ისე გარედ გალავანში და ნახარებოვის ეკლესიის (ეხლა მონასტრის) გალავანში. ასე იყო საქმე უხსოვრის დროიდან ვიდრე 1886 წლამდე; ამ წელში კი, როდესაც დაარსებულ იქმნა ახალი ეპარქია—გურია-სამეგრელოისა, გარემოება შეიცვალა: საეპისკოპოსო კათედრა მმრტვილიდან გადატანილ იქმნა ქ. ფოთში და ახალი ეპისკოპოსის გრიგორის შუამდგომლობით მარტვილის „საკათედრო სობორო“, რომელიც იყო აგრეთვე სამრევლო ეკლესია, გადაკეთებულ იქმნა „პირველი კლასის მონასტრად“, ხოლო მანდღვე მიშენებული ორი ეკვდრები—„მარტვილის სამაზრო სობოროდ“. ეს ეკვდრები—„მარტვილის სამაზრო სობორო“ მიეცათ მარტვილის მცხოვრებთ ყოფილის მარტვილის საკათედრო სობოროს მაგიერ, სადაც საჭირო შესთხვევაში, თანახმად უმაღლესის სასულიერო მთავრობის განკარგულებისა, სრულდება ყოველგვარი მღვდელ-მოქმედება მრევლთათვის გარდა წირვა-ლოცვისა;

წირვა-ლოცვა კი ამ ეკვდრებში სრულდება იშვიათად ერთი მისთვის, რომ ეს ეკვდრები ძლიერ პატარაებია—10-15 კაცის მეტს ვერ დაიტევს თითო და მეორე—კიდევ იმიტომ, რომ ხალხი დადის წირვა-ლოცვაზე ჩვეულებისამებრ მის წინაპართა მონასტრის უმთავრეს დიდს ტაძარში, სადაც წირვა-ლოცვა სრულდება ყოველთვის და ყოველ დროს, ჩვეულებისა და მოთხოვნისამებრ მრევლთა მონასტრის ბერებისაგან და მრევლის მოძღვართაგან, მაგრამ „ერთ მრევლთაგანს“ ეს უბრალო გარემოება არ უნდა რომ გაიგოს, თორემ რისთვის სდებს ბრალს ამაზე ადგილობითი მოძღვრებს?! რაც შეეხება სასაფლაოს, ის დარჩა ისევე ძველი სასაფლაო „ქვენია“ და შეძენილ იქმნა კიდევ მეორე ახალი სასაფლაო „მინდორი“, ხოლო დასაფლავება მარტვილისა და ნახარებოვის მონასტრებში, სასულიერო მთავრობისაგან აკრძალულ იქმნა თვინიერ სასყიდლისა.

ადგილობითი მოძღვარნი დღიდან „მარტვილის სობოროს“ მონასტრად გადაკეთებისა—1886 წლიდან, არა ერთხელ ცდილან შეეგონებინათ როგორმე მარტვილის მრევლი, რომ შათ თავიანთთვის აეშენებინათ საკუთარი ეკლესია. ამაზე მათ ოფიციალურად და კერძოდ ბევრჯერ შეკრიბეს მრევლი, და თან-დასწრებითა ადგილობითი სამოქალაქო მთავრობისა, ქონდათ მრევლთან ბაასი; დიდძალ შემწეობასაც დაპირდნენ ფულით და ეკლესიის სხვა-და-სხვა სამკაულების მოპოვებით, მაგრამ ცალკე ეკლესიის აშენებაზე ჯერ-ჯერობით უარს ამბობს მრევლი,—იგი ამბობს: ჩვენს წინაპრებს დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვისთ მარტვილის და ნახარებოვის ეკლესიების (ეხლა მონასტრების) აშენებაში, ჩვენი მამა-პაპისაგან დარჩენილი ეკლესიები მონასტრად გადაქციეს, ჩვენ მეტად ღარიბნი ვართ, სასაფლაო გადასახადების დაკმაყოფილება იმდენად გვიჭირს, რომ რამოდენიმე წლის განსახადი „ნედლიშევათ“ გვაქვს დარჩენილი და ცალკე ახლის ეკლესიის აშენებას კიდევ როგორ შევიძლებთო; ან რა საჭიროა ერთ სოფელში ორ მისთანა დიდებულ ეკლესიასთან, როგორც ეხლაა მარტვილში, კიდევ მესამე ეკლესიის აშენება და სხვანი და სხვანი. დიახ, მარტვილში ნახევარი ვერსის მანძილზე ორი მონასტერია. აი ამისთანა ანორმალური მოვლენას მრევლი ნათლად ხედავს

და თავილობს, რომ მესამე—ახალი ეკკლესიის ასა-  
შენებლად ხარჯი გაიღოს და ცდილობს ამ უკი-  
დურეს მდგომარეობიდან თავი დაახწიოს. სწორედ  
ამ მიზნით მარტილის მრევლმა 27 ს. აპრილს,  
მარტილში მყოფობის დროს, მის მაღალ ყოვლად  
უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს აღე-  
ქისს მიართვეს თხოვნა, და შუამდგომლობენ ერთი  
სენეზული მონასტრებთაგანის, სახელდობრ ნახა-  
რებოვის მონასტრის გაუქმებას და მიცემას მათთვის  
სამრევლო ეკკლესიად. მათმა მეუფებამ დაათვალი-  
ერა ნახარებოვის მონასტერიც და უბრძანა ადგი-  
ლობით მღვდლებთ - ასრულონ მარტილის და  
ნახარებოვის მონასტრებში, როგორც ამ დრომდის,  
წირვა-ლოცვა და ყოველგვარი მღვდელ მოქმედება;  
თხოვნა მრევლთა მათ მეუფებამ თან წაიღო და არ  
ვიციტ რას ინებებს თხოვნის უმთავრეს მუხლზე,  
ე. ი. ნახარებოუს მონასტრის შტატის ეკკლესიად  
გადაკეთებაზე. რაც შეეხება „ახალი კანონით რკი-  
ნის გალაგებით ეკკლესიის შემოკავებას“, ეს უთუ-  
ოდ „ერთი მრევლთაგანი“ ფანტაზიის გამოგონი-  
ლი „ახალი კანონი“ უნდა იყოს, თორემ ჩვენ  
ჯერ არსად გვსმენია ასეთი აუცილებელი კანონის  
განხორციელება.

ძალიან სამადლო და სამართლიანი კი იქნება,  
ღვთის წინაშე, რომ ნახარებოუს მონასტერი ჩვენ,  
მარტილელებს, მოგვეცემოდეს სამრევლო ეკკლე-  
სიად—«მარტილის სამაზრო სობოროდ». მართ-  
ლაცა და რა აუცილებელს საქიროებას შეადგენს  
ერთ სოფელში ორი მონასტერი, ისიც ერთი-მეო-  
რისაგან დაშორებული მხოლოდ ნახევარი ვერსის  
მანძილზე?! ნუ თუ უმჯობესი არ იქნება, რომ ნა-  
ხარებოუს მონასტრისადმი კუთვნილი ადგილები  
მარტილის პირველი კლასის მონასტრეს მიეწეროს  
და მით ეს დიდებული მონასტერი სიღარიბიდან  
ვაშოვიდეს, უფრო ვამაგვრდეს და ვამაგრდეს და  
ნახარებოუს მონასტერი, სადაც ბერებს ეძნელებათ  
ცხოვრება და სადაც ამის გამო არასოდეს არ არის  
სრული შტატი (ესლა მხოლოდ სამია), გადაკეთე-  
ბულ იქმნას ჩვენთვის «მარტილის სამაზრო სო-  
ბოროდ» და მით ახალის ეკკლესიის აშენებით  
აგვშორდეს უბრალო ხარჯი?!

აი, ბატონო, თუ გნებავსთ ეს გახლავს ქეშ-  
მარიტი ამბავი შესახებ მარტილის მრევლთა და

მღვდლებთა და მიკვირს კი, ქეშმარიტად, როგორ  
ვერ გაუგია ამდენ ხანს ეს ამბავი იმ „ერთ მრევლ-  
თაგანს“?! მაგრამ, ეტყობა, ის ან სრულიად არ  
არის „მრევლთაგანი“ და ან ისეთი მრევლთაგანია,  
რომლის გოდება გამოწვეულია არა ეკკლესიის და  
თავის მოძმეთა სიყვარულით, არამედ სხვა რაიმე  
პირადი მიზნით.

მკვიდრი.

გარდაცვალება და დასაფლავება ელისავეტოგრა-  
დის ეპისკოპოსის ტიხონისა.

27 მარტს 1903 წელსა, ღამის პირველ საათ-  
ზედ გარდაიცვალა ჩვენი სამღვდელოებისა და საზო-  
გადოებისაგან კარგად ცნობილი, ყოვლად სამღვდე-  
ლო ტიხონი ეპისკოპოსი ელისავეტოგრატიისა, პირ-  
ველი ვიკარი ხერსონის ეპარქიისა 51 წლისა დაბა-  
დებიდა. კარგად ახსოვს ყველას ის დრო, როცა  
იგი ტფილისის სემინარიაში იყო რექტორად. და  
როგორ არ დაინახსოვრებს კაცი იმისთანა კაცის  
სამსახურს, რომელიც, როგორც ქეშმარიტი ქრის-  
ტიანი, ყველას თავის ძმად უყურებს და რომლის-  
თვის თემობრივი გარჩევა არ არსებობს; ყოველ ადა-  
მიანს მამაშვილურად უყურებს და ქეშმარიტად ზრუ-  
ნავს ყველასათვის. ამისთანა კეთილი გულის და  
ასეთ ქეშმარიტ ქრისტიან კაცებს, საშუაბაროდ, დიდ-  
ხანს არ ხვდება ჩვენში მსახურება. ყოვლად სამღვ-  
დელო ტიხონი დიდხანს არ დარჩენილა ჩვენს ტფი-  
ლისის სემინარიაში რექტორად. მისი გულ-კეთილო-  
ბა და მისი ნამღვილი ქეშმარიტი ქრისტიანობა იყო  
მიზეზი, რომ მალე მოგვშორდა. დიდხანს არ გაუე-  
ლია, რაც ინსპექტორად დანიშნეს ტფილისის სე-  
მინარიაში ყველასაგან ცნობილი ბერ-მონა-  
ზონი ისიდორე და ამ ინსპექტორის ცოტახანის მსა-  
ხურების შემდეგ, ტიხონი გადაიყვანეს პეტერბურგ-  
ში სასულიერო ცენტრის კომიტეტის თავსმჯდო-  
მარედ. მალე დარწმუნდნენ პეტერბურგში და შეიტ-  
ყვეს, თუ რა გულ-კეთილი, პატიოსანი, ნასწავლი  
და კაცთ-მოყვარე კაცი იყო იგი. დიდ დროს არ  
გაუელოა, რომ არხიმანდრიტი ტიხონი ეპისკოპო-  
სობის ხარისხზე იქმნა აღყვანილი და დანიშნა ელი-

სავეტგრაღის ეპისკოპოსად. ოდესაში მათმა მეუფე-ბამ დიდი სიყვარული დაიმსახურა. მათი მეუფეობა გაცივდა და ფილტვების ანთებით გახდა ავად. მართებლობის ნება დართვით იგი საექიმოდ წამოვიდა ხერსონესში, მაგრამ არც ჰაეის გამოცვლამ უშველა მას. ხერსონში აუტყდა ფილტვებიდან სისხლის დენა და 27 მარტს გარდაიცვალა. განსვენებული გადასვენეს ოდესაში და დიდის პატივის ცემით დასაფლავეს მიძინების მონასტერში, სადაც იგი ირიცხებოდა წინამძღვრად. მთელმა საზოგადოებამ დიდი პატივისცემა აღმოუჩინა და მრავალ წარმოთქმულ სიტყვებში დაახასიათეს იგი, როგორც კაცი ღრმად ნასწავლი, გულ-კეთილი და ქვეშაირიტი ქრისტიანე — მოსიყვარულე სოველი კაცისა. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ქვეშაირიტი მღვდელ-მთავარო, რომელსაც ქრისტეს მცნებისამებრ ყველა გიყვარდა და ქართველებსაც ძმასავით უყურებდი. გიყვარდა ყველა და საზოგადოებამაც შეგიყვარა და წასვლის დროს დაგიტკიცა კიდევ ეს სიყვარული განსაკუთრებით სემინარიის კორპორაციაში.

### მ. კეტიკოზის 200 წ. იუბილე.

აკურთხეს დიდის ამბით ტროიკის ხიდი და დაიწყო საიუბილეო დღესასწაულები. სუგოროვის მოედანზედ, ხიდის ყურთან გამართული იყო ბაქანი, საცა ლიტანიით მივიდა სამღვდლოება. სამღვდლოებას წინ უძღოდა ყოვლად-სამღვდლო ანტონი. ეპისკოპოზი იამბურგისა, ბაქლანის გარშემო იღვა პოლიცია პეტრეს დროინდელ მუნდირებით; დაესწრო აუარებელი ხალხი, დეპუტაციები, კარის-კაცნი, მინისტრები, სადიპლომატო კორპუსი, დიდნი მთავარნი. გაისმა გრილი „ურასი“ და დიდის 11 საათზედ მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და ხელმწიფე მემკვიდრე. ყოვლად სამღვდლომ შეასრულა წესი ხიდის კურთხევისა. ასტყდა ზარების რეკა ყველა ეკლესიებისა. ხელმწიფე იმპერატორმა შეახო ხელი სათითურს, ხიდმა იწყო მოძრაობა და შეუერთდა ნაპირს. ხელმწიფე იმპერატრიცებმა გასტრეს ლენტები. სამღვდლოება ლიტანიით, მათნი უდიდებულესობანი, მათნი უმაღლესობანი, ამაღა და კარის-კაცნი გაემართნენ ხიდზედ, რო-

მელიც ყოვლად სამღვდლომ აიაზმის წყლით ასხურა. მათ უდიდებულესობათა ხიდი გაიარეს და შებრძანდნენ კარავში, საცა ქალაქის თავმა მიართვა მედალები და აღბომები ფოტოგრაფიულად გადაღებულის სურათებისა. შემდეგ მათნი უდიდებულესობანი გაემართნენ ეტლებით პეტრე დიდის ძეგლისაკენ. კვლავ გაისმა გრილი ურასი. მათ უდიდებულესობათ მათნი უმაღლესობანი და კარის-კაცნი ეახლნენ. ამასობაში დიდის ამბით პეტრე დიდის სახლიდან გამოტანილი წმიდა ხატი მაცხოვრისა ლიტანიით წაასვენეს ისააკის ტაძარში. აქ სწირა მიტროპოლიტმა ანტონიმ წირვის შემდეგ ზემოხსენებული ხატი ლიტანიით წაასვენეს. პეტრე დიდის ძეგლისაკენ; სამღვდლოებამ ადგილი დაიჭირა ძეგლთან, ბაქანზედ დადგნენ გუნდნი მემუსიკეთა და გვარდიის ჯარის მგალობელთა, სამეფო კარავთან მოთავსდნენ ქალაქის ხმოსანნი; აქეთ-იქით იდგნენ მოწაფე ქალნი სკოლებისა და დიდი სიმრავლე ხალხისა; სადღესასწაულოდ ჩამული ჯარიც მოვიდა და დაეწყო რაზმ-რაზმად; 1 საათზედ პეტრე დიდის ძეგლთან მობრძანდნენ უმაღლესნი გვამნი, რომელთაც ქალაქის თავი მიეგება. მიტროპოლიტმა ანტონიმ გადაიხადა პარაკლისი. მრავალ-ყამიერის წარმოთქმის დროს დაიწყო რეკა ზარებისა და სროლა ზარბაზნებისა ნევეზე მდგარ გემთაგან. შემდეგ სამღვდლოება დაბრუნდა ისააკის ტაძარში. ხოლო წმიდა ხატი მაცხოვრისა ლიტანიით წაასვენეს ტროიკის ხიდზედ გავლით პეტრე დიდის სახლში. ზარების რეკა მთელ ამ დროს არ შეწყვეტილა. ქალაქის თავმა მიართვა უმაღლეს გვამთ მედალები; გაისმა ხმა საიუბილეო კანტატასი და ჰიმნისა და გრილი ურასი. ჯარებმა ცერემონიალურის მარშით გაიარეს. პარადის შემდეგ უმაღლესნი გვამნი წაბრძანდნენ სადღესასწაულო ადგილიდგან. ხალხი დიდის ხმით იძახდა „ურასა“. დილას დიდის ამბით მოტანილი ხომალდი პეტრე დიდისა ისევ დაბრუნეს ქალაქის დიდებულ დამაარსებელის სახლის მახლობლად. ქალაქის წარმომადგენელნი გაემართნენ პეტრე-პავლეს ტაძარში; იმპერატორ პეტრე დიდის საფლავზედ გადახდით იქმნა მცირე პანაშვიდი. საფლავი შემკობილ იქმნა საიუბილეო მედალით.

ახალი და ძველი ქიათურა.

ამ წლის „ივერიის“ 8 №-ში მოთავსებულია კორრესპოდენტია ქიათურის შავი ქვის მრეწველთა მესხეთე კრების შესახებ, რომელშიდაც, სხვათა შორის, შემდეგი საოცარი და დაუჯერებელი ამბავი სწერია:

„კამათის დროს გამოირკვა, რომ საკუთრად სოფელი ქიათურა და ის, რასაც დღეს ქიათურას უწოდებენ, სულ სხვა-და-სხვა ყოფილა. ესლანდელი ქიათურა სოფ. ქიათურას გარეშე ყოფილა. ამ ახალს ქიათურას, არ იცის, რა უწოდოს კაცმაო“ და სხ...

ვინც კი არ ყოფილა ქიათურაში და დაახლოებით ვერ იცნობს ქიათურას, ნამდვილად დაიჯერებდა ამ ამბავს და შეცდომაში შევიდოდა; მე ამ სტრიქონების დამწერი თვითონ ქიათურაში დაბადებული, აღზრდილი და მკვიდრი მცხოვრები ვარ; რა საეჭვოა, რომ ჩემი სამშობლო დაბა კარგად ვიცი; ვიცი აგრეთვე ქიათურის წასული და აწყო, მისი გეოგრაფიული და ეტნოგრაფიული მდებარეობა და მდგომარეობა, — და ეს არც გამიგონია და არც მინახავს, თუ ჩვენს ქიათურაში კიდევ მეორე ქიათურა იყო. როგორც მახსოვს, შავი ქვის მუშაობა გაიხსნა 1879—1880 წლებში; ავერ თითქმის 23—24 წელიწადი ვადის მას აქეთ, რაც ქიათურის გარეშემო მთა-მადნიან მეზობელ სოფლებში შავი ქვის წარმოება არის; თვით ქიათურა კი უმთავრესი „ცენტრია“ მთელი შავი ქვის სოფლებისა; ქიათურაშია შავი ქვის საწყობები და პლატფორმები, საიდგანაც საზღვარ-გარედ გადააქვთ შავი ქვა; შავი ქვის მაწარმოებლების ესლანდელი კრება რიცხვით მესხეთე იყო და კარგი ხანია წინა კრებებზედაც იყო კითხვები აღძრული ქიათურის „პოსადათ“ გადაკეთებაზედ; საგანგებო ინჟინრებიც და მიწის მზომელებიც იყენენ ქიათურაში მოწვეული, რომელთაც რაოდენიმეჯერ გვეგები აიღეს და დაწვრილებით გაზომეს ქიათურა და არც ერთ პლანებში და ზომებში მეორე ახალი ქიათურა არ არის ნაჩვენები და მოხსენებული; მიკვირს ძალიან რანაირად და საიდან გამოძებნეს ძველ ქიათურაში მეორე ახალი ქიათურა და ვინ არის ნეტავი ახალი ქიათურის აღმოჩენი ქრისტეფორე კოლუმბი?.

რომ პატივცემული მკითხველი შეცდომაში არ შევიყვანოთ, აქ მოკლედ მოგახსენებთ, თუ რატომ

გონებით ზოგიერთ შავი-ქვის მრეწველებს ქიათურაში კიდევ მეორე ახალი ქიათურა:

ქიათურაში სცხოვრებენ სულ 25 კომლი მკვიდრი ანუ ძირითადი მცხოვრები; სანამდის შავიქვის წარმოება გაიმართებოდა და სავაჭრო სახლები გაშენდებოდა. როგორც სხვა გარეშე მეზობელი სოფლების მცხოვრებლებს, ისთე ქიათურის მკვიდრ მცხოვრებთ ჰქონდათ თავის საკუთარი ტყეები, გარემოები, საწისქვილოები, საბალახოები, სავენახე და სახნავ-სათვის მიწები; ამ ხსენებულ ადგილებს სხვა-და-სხვა სახელწოდება ჰქონდათ და დღესაც აქეთ, სახელდობ: „ბარდნალი“, „თხილნარი“, „მელისა“, „ბურღვათი“, „სამზიარი“, „ფონი“, „ჰერეხი“, „ცხენის ზურგა“, „ნახორალი“, „ბრეკი“, „ლოდები“, „ნაფეტვარი“ და სხ... ამ ჩამოთვლილ ადგილებს ეს კერძო სახელები ჰქვიათ და ყველა ერთად კი შეადგენენ ქიათურას; სათითაოდ რომ თითოეულ ნაკვეთ ადგილს ქიათურა დეკარქვათ, მაშინ ერთი და ორი ქიათურა კი არა, ბევრი ქიათურები გვექნებოდა...

როდესაც შავი ქვის წარმოება გაჩაღდა, აქა-ღრმა მკვიდრმა მცხოვრებლებმა მიატოვეს ხენა-თესვა, მიყვეს ხელი შავი ქვის წარმოებას და მუშაობას და ეს სახნავ-სათვის მიწები და ადგილები, ზოგი სადუქნე ადგილებად გადააქციეს და საიჯარავოდ გასცეს მებატრონებმა, სადაც ბაზარი გაშენდა, ზოგი შავი ქვის საწყობებათ გახადეს, ზოგი რკინის გზამ მიიკუთნა თავის საქიროებისათვის; ზოგიერთი ადგილები გარეშე მოსულმა ხალხმა დაიქირავეს, ზედ დასდგეს თავისათვის საბინაო და სავაჭრო სახლები და დროებით სცხოვრებენ; ამნაირად ქიათურაში არიან ორნაირი მცხოვრებნი: მკვიდრი მცხოვრებნი და დროებით მცხოვრებნი—სწორედ ამ გარემოებას შეყავს შეცდომაში შავი ქვის მაწარმოებელთა კრების ზოგიერთი წევრები და მკვიდრ მცხოვრებლებს დაარქვენ ძველი ქიათურა და ახალ დროებით მოსულს და დროებით მცხოვრებლებს კი ახალი ქიათურა.

ქიათურა მდებარეობს მდინარე ყვირილის ხეობაში. აღმოსავლეთით სამზღვრავს სოფ. შუქრუთი და მღვიმის დედათ მონასტერის მამულები და თვით მონასტერიც, დასავლეთით ყვირილის ხეობა და ნაწილი ორი სოფლისა წინსოფლისა და ნავარძეთისა, სამხრეთით სოფელი პერევისა და ჩრდილოეთით

სოფ. ზედარგანი და სოფ. რგანის ნაწილი; ზომით მაგალითად რომ ავიღოთ ორი ოთხ-კუთხი (კვადრატული) ვერსტის მეტი სივრცით არც კი იქნება; ასეთ ვიწრო მდებარეობა აქვს ქიათურას და ამ ვიწრო მდებარეობაში ძლივს ითავსებს სახელს ერთი ქიათურა და მეორე ახალი ქიათურა რა მანქანებით აღმოჩნდა და ან სად არის ამავე ქიათურაში,—ეს აღარ ვიცით... დროებით მცხოვრებთა რიცხვი ქიათურაში თითქმის 400 კომლამდე ითვლება.

აქ უადვილოდ არ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვა იმაზედაც ვსთქვათ, თუ ქიათურას რატომ დარქმევია ძველ დროში ეს სახელი: ზებირ-გადმოცემა მოგვიხსობს, რომ მდინარე ყვირილის ხეობაში, სადაც ქიათურა დღეს მდებარეობს, უწინ ყოფილა დიდი უდაბური გაუტყეველი ტყე გარშემო მაღალ მთებით შემორტყმული; ამ ხეობაში ორი მონადირე გადმოყოლია ნადირს დასაქირავად; ეს მთიული მონადირეები რომ მომდგარან მდინარე ყვირილის ნაპირზედ, იქვე დაუნახავთ ერნაირი წყრილი თევზი, რომელსაც დღეს ვეძახით მაღლარტას, ან გველანა თევზს; ეს გველანა თევზი უფრო ქიას წააგავს, ვინემ თევზს; იმ დროს ერთი მონადირე ეკითხება მეორეს: „ეს რა არის ქიაა, თუ რა?“ იმ დროიდან დარქმევია ამ ადგილს „ქიათურა“, ამასთანავე ამბობენ, რომ ამ მონადირეებმა ნადირი შეიმწყვდიეს და კიდევ დაიჭირეს მღვიმის გამოქვაბულში, სადაც დღეს მღვიმის დედათა მონასტერია გაშენებული; მონადირეებმა ეს ამბავი მოახსენეს რაქის ერისთავს რატს, რომელმაც იხება ამ ადგილების დაავალიერება და კიდევ ააშენა მღვიმის კლდის გამოქვაბულში მშვენიერი ქვის ეკლესია, სადაც დღეს სამწირველო ეკლესია არის მღვიმის დედათა მონასტერში. ისტორიული გამოკვლევებიდან ჩვენ ვიცით, რომ მართლაც რაქის ერისთავმა რატმა მღვიმის მონასტრის ეკლესია ააშენა XII—XIII საუკუნეში, მაშასადამე ქიათურაც 12—13 საუკუნეებში არის აღმოჩენილი რაქის ერისთავის რატის დროს და არა ეხლა შავი ქვის წარმოების დროში.

მღ. ბესარიონ ვაშაძე.

## მოკლე ცნობანი საზღვარ-გარეთელ სამთო აკადემიების შესახებ.

ამ უკანასკნელ დროს თანდათან უზღუდვენ უცხოელებს დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით გერმანიის, უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის უფლებას. წინად თუ იღებდნენ განურჩევლად ყველას, ვისაც კი საშუალო სასწავლებლის გათავების მოწმობა ჰქონდა, დღეს ზოგან ენის ცოდნას და ეგზამენის დაჭერას სთხოვენ, ზოგან-კი ექვსის თვის ან ერთის წლის პრაქტიკას. მხოლოდ ორი თუ სამი სამთო აკადემიაა, რომელშიაც ჯერ დაუბრკოლებლივ იღებენ უცხოელებს.

თუმცა ასე ავიწროებენ ყმაწვილ კაცობას, მაგრამ უცხოელების რიცხვი: რუსთა, პოლონელთა და სხვ. შესამჩნევად მატულობს საზღვარ-გარეთის სასწავლებლებში და ვინც კი მოსულა, ყველას როგორმე მოუხერხებია აკადემიაში ან პოლიტექნიკუმიში შესვლა.

სხვა-და-სხვა ქალაქებში გაბნეულ რიცხვს მცირე სტუდენტობასაც ყოველ წლობით ემატება რამდენიმე ახალგაზდა. ამიტომ საჭიროდ მიიჩნია ზოგიერთ სამთო \*) აკადემიის შესახებ მოკლე ცნობანი მივაწოდო იმათ, რომელთაც მომავალ სამოსწავლო წლისათვის სურთ საზღვარ-გარეთისაკენ გამოიგზავრება.

დავიწყებ ლეობენის აკადემიიდან, რომელსაც დაახლოვებით ვიცნობ; აქ ჯერ-ჯერობით იღებენ უცხოელებს, რომელთაც გიმნაზია ან რეალური სასწავლებელი გაუთავებიათ; იმას კი, ვისაც ატესტატი ან რეალურ სასწავლებლის გათავების მოწმობა არა აქვს და შეუძლიან წარადგინოს მხოლოდ „რამდენისამე კლასის გათავების მოწმობა“, იღებენ თავისუფალ მსმენელად.

გარკვევით არ არის ცნობილი, როგორი მოწმობა ამისათვის საკმარისი, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავისუფალ მსმენელად მისიღებმა სტუდენტმა უნდა წარადგინოს ექვსის კლასის გათავებისა და მეშვიდეში რამდენისამე თვეს მაინც სწავლის მოწმობა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გერმანიის აკადემიებიდან ნამდვილ სტუდენტს აქ ნამდვილ

\*) პოლიტექნიკუმებისა და მათ სამთო განყოფილებათა შესახებ ცნობანი არა მაქვს და ვერაფერს ვიტყვი.

სტუდენტადვე არ იღებენ იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ეგზამენი დაუქერია იქ და საშუალო სასწავლებლის გათავების მოწმობა არა აქვს.

სემინარიელების შესახებ კი არაფერი ითქმის, რადგანაც იმათ აკადემიის დებულება არ იხსენიებს. აკადემიის მდივნის სიტყვით, შეიძლება მივიღოთ სემინარიელები, როგორც ნამდვილ, ისე თავისუფალ მსმენელ სტუდენტებათა; ყოველ შემთხვევაში, ჯერ მაგალითი არ ყოფილა ამისა, და მთავრობამაც არ იცის, როგორ გადასწყვეტს ამ საგანს, როცა საჭიროება მოითხოვს.

მესამე კატეგორიას სტუდენტებისას ვგრძელ წოდებული სტუმრები შეადგენენ; მათ უმოწმობათ იღებენ, და აკადემიაც თავის მხრივ არავითარ მოწმობას არ აძლევს. თავისუფალ მსმენელს შეუძლიან ეგზამენის დაქერა კერძო საგნებში და მოწმობის მიღება, ნამდვილი სტუდენტი კურსის დასრულების შემდეგ იქერს სახელმწიფო ეგზამენს და იღებს მოწმობას, რომელიც იძლევა უფლებას სამთო ინჟინერის წოდებისას.

კურსი ორ ნაწილად იყოფა: მოსამზადებელი: საერთო (Vorkurs, allgemeine Abtheilung) და სპეციალური (Fachkurs, Fachschule). უკანასკნელი ორ სპეციალურ განყოფილებსაგან შესდგება: სამთო — Fachschule für Bergwesen და სამთო-საქარბნოსაგან — Fachschule für Huttenwesen. Vorkurs-ს ორი წელიწადი სჭირდება, Fachkurs-ზე კი თითო ამ სპეციალურ საგანს თითო წელიწადი.

ლექციებისათვის შესატანი ფული, როგორც ავსტრიის სხვა ყველა უმაღლეს სასწავლებელში, შედარებით ცოტაა. წლიური გადასახადი 50 გულდენია. ამას გარდა პირველ წელს მიღებისათანავე უნდა შეიტანოთ 10 გულდენამდე.

აკადემიის სამკითხველოში ჩაწერა სავალდებულო არ არის, მაგრამ, რადგანაც სპეციალური წიგნები სხვაგან ქალაქში არსად იშოვება და არც ლექციები იბეჭდება, უსათუოდ უნდა ისარგებლოთ ამ სამკითხველოთი, რისთვისაც 11 გულ. საჭიროა ერთხანად შესატანად. ექსკურსიებისათვისაც მეორე და მესამე წელს 70—80 გულ. საჭიროა.

ცხოვრება ჯდება: ოთახი 10 გ., სადილი 12 გ., ჩაი, შაქარი, ნაეთი და შეშა 16 გ., წვრილი ხარჯი, როგორც მაგალითად: სახატავი ქაღალდი და ფერადი კარანდაშები და სხვ. ყოველ თვიურად 3 გულ. სულ, მაშასადამე, თვეში 41 გულ.

პაიბრამის (პრაგას ახლო) აკადემიაში სრულიად ისეთი წყობილებაა სწავლისა და წესი მიღებისა, როგორც ლეობენში. ცხოვრება პაიბრამში უფრო იაფია, ვიდრე ლეობენში; სწავლება კი ლეობენში უფრო უკელ არის მოწყობილი ვიდრე პირველში.

მიღება, ჩვეულებრივ, ათ ოქტომბრიდან იწყება და რამდენსამე დღეს გასტანს ხოლმე, ამ დროს თუ არ გამოცხადდა აკადემიაში ახლად მიღების მსურველნი შემდეგ ადვილად შეიძლება აღარ მიიღონ, რადგანაც პროფესორთა საბჭო უცხოელების ატესტატებს სამინისტროში ზავანის შესამოწმებლად მხოლოდ დანიშნულ ვადამდე. უცხოელების მოწმობებს სამინისტროში ამოწმებენ და ნებართვის მისაღებად ადგენენ.

კლაუსტარში იღებენ გიმნაზია და რეალურ სასწავლებლის კურს დამთავრებულებს ნამდვილ სტუდენტთ, აგრეთვე მათაც, რომელთაც რომელიმე საშუალო სასწავლებელი გაუთავებიათ; ექვს კლასიანებს და სხვ. მხოლოდ თავისუფალ მსმენელად ან სტუმრებათ შეუძლიათ ჩაწერონ: თხოულობენ აგრეთვე ექვსის თვის პრაქტიკას. ლექციების ფული 300 მარკამდეა საჭირო, საცხოვრებლად 60-დღე წელიწადში რამდენიმე დიდი ექსკურსია უნდა იკისრონ, ყოველ კვირაში — ერთი დღე პატარა ექსკურსიებისათვის არის გადადებული. აკადემია იძლევა ინჟინრის დიპლომს და კაი სახელიც აქვს მოხვეჭილი. პროგრამის გადმოწერა ან დაწვრილებით ცნობების შეტყობა შემდეგის აღრესით შეიძლება: *Preparatium, Konigl. Bergakademie zu Klausthal Preussen.*

ბერლინის და ფრეიბერგის. სამთო აკადემიებში უფრო ძნელია შესვლა. ბერლინში ენის ცოდნას და ერთის წლის პრაქტიკას თხოულობენ. ფრეიბერგში თითქმის იმასვე თხოვენ უცხოელს, რასაც ბერლინში. ფრეიბერგს ძველადვე ჰქონდა დიდი სახელი, როგორც საუკეთესო აკადემიის მთელს ევროპაში, რადგანაც პირველ ხარისხიანი სწავლულნი კითხულობდნენ ლექციებს. ყველგან ცნობილი არიან ვინკლერი (ქიშია), ვეისბარი (მინერალოგია) და ლედებური, ფრეიბერგის საუკეთესო ფოთფესორნი, რომელთა მეცნიერულ წიგნებით და გამოკვლევებით ხელმძღვანელობენ თითქმის ყველა აკადემიები. მაგრამ დღეს ძველ სახელ-განთქმულ პროფესორთაგან ძლიერ ცოტანი და დარჩნენ; სახელი კი აკადემიას ძველი შერჩა.

ლაქსო (ბელგია) თხოულობენ გამოცდას ფრანგულ და კიდევ რომელსაზე ახალს ენაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში, ანალიტიკურ გეომეტრიაში და სხვ. საბუთი მიღებისათვის არავითარი არ არის საჭირო, მაგრამ თუ გიმნაზიის ატესტატს ან რეალურ სასწავლებლის მოწმობას წარადგენთ, რამოდენისამე საგნების გამოცდისაგან განთავისუფლებენ. ვისაც მათემატიკის ფაკულტეტი გაუთავებია, იმას მესამე კურსზე იღებენ გამოუცდელად. სწავლა სამ წლამდე გძელდება, ლექციების და წიგნების ფული 300 ფრანკამდე არის საჭირო. ცხოვრება შეიძლება 42—43 ფრ. პრაგრამის გამოწერა პირდაპირ სასწავლებლიდან შეიძლება ამ აღრესით: *Belgia, Faculté de Liège. Ecole des arts et manufacturée et des mines.*

მონსი (ბელგია). საშუალო ადგილი უკავია უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს შორის, საშუალო სასწავლებლის კურს დასრულებულთ გამოუცდელად იღებენ, სხიებს გამოცდით იმ საგნებსა და ენებში, როგორც ლათინში. ყველას განუწვევლად, როგორც ნამდვილ თავისუფალ მსმენელს, ლექციებისათვის 120 ფრანკს სთხოვენ. ზოგიერთ აკადემიებში, მაგალითად, ლეობენსა და პშობრამში, თავისუფალ მსმენელს მეტი უჯდება ლექციების მოსმენა და გამოცდა, ვიდრე ნამდვილ სტუდენტს. თავისუფალ მსმენელს სთხოვენ ყოველ კერძო გამოცდისათვის ცალკე ფულს, და ეს კი ძვირი ჯდება 30.—35 გულდენით.

დაახლოვებით ყველა აკადემიაში ლექციები იწყება ოკტომბერს და თავდება მაისის დამლევს და თიბათვის დამდეგს.

ვინც ენა არ იცის და მოახერხებს ორი-სამის თვით მაინც ადრე წამოსვლას, რასაკვირველია, ბევრად უკეთესი იქნება, რადგანაც გაიადვილებს შემდეგში სწავლას. ენას, თუ კი მუყაითად მოჰკიდებს ხელს და სიტყვების და ფორმების გაზეპირებას არ მოერიდება, მალე შეისწავლის იმდენად, რომ წიგნების კითხვა და გაგება რამდენადმე შეიძლოს ლექსიკონის საშუალებით. ამ მხრივ გერმანიაში უფრო ადვილია უცხოელისთვის, ვიდრე ავსტრიაში, ავსტრიაში სულ სხვანაირად მიმდინარეობს რუსთა და ქართველ სტუდენტთა ცხოვრება, ნამეტურ პატარა ქალაქებში. ნემცებსა და სლავიანებს შორის იმდენად გამწვავებულია ბრძოლა ნაციონალურ ნიადაგ-

ზე, რომ ერთმანეთს ყოველ მხრივ ავიწროებენ და სდევნიან. ნემცე სტუდენტობას არამც თუ არაფერი საერთო არა აქვს სლავიანებთან, რომელთა რიცხვი ნამეტურ ჩეხებისა და პოლონელების ძლიერ ბევრია, ირამედ როგორც თავის მოსისხლე მტერს ისე უყურებს. ჩეხები და პოლონელებიც, რასაკვირველია, მაგიერს უხდიან და სცდილობენ თავიანთ დედა-ენაზე ისაუბრონ. ამიტომ აქ პრაქტიკულად ენის ვარჯიშობას თითქმის მოკლებულია ის, ვინც ნემცური ენა არ იცის და სურს, რაც შეიძლება, მალე შეისწავლოს.

უმეტეს ნაწილად სამთო აკადემიები პატარა ქალაქებში იმყოფება, სადაც რუსის კონსული არა სცხოვრობს. ამიტომ სანამდის ამისთანა ქალაქში მიხვიდოდეთ, საჭიროა ატესტატი გადათარგმნილი და დამოწმებული იყოს, რათა ხელმეორედ არ დაგვიკირდეთ რომელსაზე დიდ ქალაქში წასვლა კონსულთან. თარგმანის დამოწმება, რასაკვირველია, სანოტარიუსო წესითაც შეიძლება და ერთის მხრივ ასე სჯობია კიდევ. კონსულის კანცელარიაში ატესტატის გადათარგმნა ძვირი ჯდება. ამიტომ უკეთესი იქნება ნემცურის ან ფრანგული ენის მასწავლებელს გადაათარგმნიოთ.

ეს ცნობანი, ლეობენის და პშობრამის აკადემიების გარდა, პრაგრამებიდანა და კერძო წერილებიდან მაქვს ამოკრეფილი. ვისაც დაწვრილებითი ცნობანი სჭირდება, შეუძლიან პირდაპირ აკადემიიდან მიიღოს. თუ კი მარკა იქნება წერილში, პასუხს აკადემიის მდივანი უსათუოდ მისწერს მსურველს, ზოგან კი მარკაა საჭირო. („ივერია“)

თავადი კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონის გარდაცვალება და დასაფლავება.

ორ მაისს, საღამოს ექვს საათზედ, შემდეგ ორსამი დღის ფილტვების ანთებისა, გარდაიცვალა თავადი კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ მუხრან-ბატონი. დღიდან გარდაცვალებისა ყოველ დღე-დღეში ორჯელ იყო დანიშნული პანაშვიდი გარდაცვალებულის ბინაზე, რომელსაც ასრულებდა პატრივცემული მამა არხიმანდრიტი გიორგი მრავალ ქართველთა სამღვდლოების თანამსახურებით. ყოველ პანაშვიდებზე დადიოდენ საგალობლად თავად-

აზნაურთა სასწავლებლის მოწაფენი. ყოველი წესი გარდაცვალებულის სურვილისამებრ სრულდებოდა ქართულად. პანაშვიდებს იხილდენ სხვა-და-სხვა და-წესებულეებანიც სხვა-და-სხვა ადგილას.

გამოსვენების და დაკრძალვის დღისთვის იყვნენ მოწვეულნი მათი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოის ნებადართვით, მათი მეუფებანი იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე.

7 მაისს დილის თორმეტის ნახევარზედ, მცირე ჩამოლოცვის შემდეგ, გამოასვენეს სადგომიდან გვამი განსვენებულის თ. კონსტანტინე ივანეს ძის ბაგრატიონ მუხრან-ბატონისა და წაასვენეს მცხეთას დასაკრძალავად საკუთარ საგვარეულო სასაფლაოზე ეკლესიაში. დიდი ხალხი დაესწრო გამოსვენებას და როგორც გვარდიის პოლკოვნიკს, ჯარიც გამოიყვანეს. გამოსვენებამდე მღვდელმა მ. ასათიანმა წარმოსთქვა შემდეგი მოკლე სიტყვა:

„ყოველივე ჟამი, და ჟამი ყოვლისა ნივთისა ცათა ქვეშე (ეკკ. გ. ა.)

დიად, ყოველსავე თავის დრო აქვს და იყო დრო, როდესაც შენი უძვირფასესო თავადო კონსტანტინე, გატაცებული მიჯნურობის სიყვარულით, სიხარულით ისწრაფოდი ამ სახლისაკენ, სადაც გეგულეობდა უნეტარესი დანიშნული და, შემდეგ დავიღვინებისა, გადმოსახლდი აქ, ჯერეთ ახალგაზდა. აქ ჰყვავოდი ჟამსა სიყმაწვილისასა; მსახლში დაფუკციდი და აქვე შესდგი ფეხი მსკოვანებაში; ამ ქერ ქვეშ ვანატარე ორმოც-და-ხუთ წლამდე. აქ განვლე უძვირფასესნი დღენი შენნი. აქ სიხარულით და განთქმულ ქართულ პურადობით უხვდებოდი სიამოვნებით შენთან მოსულთ რუსეთის გვირგვინოსანთა შვილებს. ამ სახლში იკრიბებოდნენ, განურჩევლად ეროვნებისა, შენნი პატივის მცემელნი მისაღებად შენგან ამა თუ იმ რჩევისა. აქ თითქმის ყოველ დღე შენთან ბჭობდნენ ჩვენის მამულის საუკეთესო შვილნი სხვა-და-სხვა საქმეებზედ ჩვენის მოქალაქეობისა, სარწმუნოების და, უმეტესად, სწავლა-განათლებლისა; ამ სახლში გაისმოდა შენი ხმა, აღესილი სიმართლის მოყვარობითა, პირუთვნელობითა და როდესაც კი საუბარი შეეხებოდა შენ საყვარელ სამშობლოს და შენს წმიდა სარწმუნოებას, მაშინ შენ ხმაში ისმოდა უსაზღვრო სიყვარული

თანამოძმეთა და შამა-პაპის სარწმუნოებისა მიმართ. ამ სახლში ბჭობდით სააზნაურო სკოლის მომავალ ბედზედაც. ერთის სიტყვით, დღევანდლამდის ამ სახლის კარი ღია იყო ყოველთვის და ყველასათვის.

აქ ყველა სიხარულით მოისწრაფოდა. მაგრამ აწ დრონი იცვალნენ. ჟამი ტირილად, და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად. (ეკ. გ. დ.)

ამ სახლში ხარ უკანასკნელად და აწ შორდები სამარადისოდ. შენი უძვირფასესი თანა-მეცხედრე ძაძით მოსილი დაქტარის თავსა, დღეს შენი მეგობარნი ზარ-დაცემულნი დავცქერით შენს გაცივებულ გვამს. შენი უჩვეულებრივო ღუმილი გვაკვირვებს და არ ვუწყით, რით განგარისხეთ. ნუ თუ მართლა აღარა გვეყვებარ ჩვენი იმედი, ტკბილ მოსაუბრე, გაქირვებულთ ნუგეში? ქველი და დამხმარე მოსწავლე ახალ-გაზდათა ნუ თუ, აღარ იხილავ შენს საყვარელ, განურჩევლად წოდებისა, სააზნაურო სკოლის მოწაფეთ?! ნუ თუ აღარ უცდი სკოლის ახალ სახლის. დამთავრებას?! ნუ თუ გაურბი მომავალ ქალთა სასწავლებლის გახსნას?! მიღიხარ, აღარ ბრუნდები! ვილა მოიყვანს სისრულეში შენს წმინდა განზრახვას ჩვენის ახალ-თაობის სწავლა-განათლების ტაძრის აგებისას?!

ვიმედოვნებთ, რომ შენს ყოველსავე კეთილ აზრს-განზრახვას განახორციელებს შენი უძვირფასესი მეუღლე და, რის შესრულებაც შენ ვერ მოასწარ შენს სიცოცხლეში, ჟამთა ვითარების გამო, იგი დაამთავრებს და გუნდრუქს შენს წმიდა-წმიდათა იგი დაუკმევს. ვსაოგებთ, რომ შენს შემდეგაც ქართველობას ამ სახლის კარი არ დაეხშობა და ქართველთ ყრმათა, შენს მაგიერ, მამობასაც დედა გაუწყვს.

მამ მშვიდობით, უძვირფასესო! ილოცე შენის საყვარელის სამშობლოს ბედნიერებისათვის, შენ იქ და ჩვენ აქ არ დავსცხრებით ვედრებად წინაშე ღვთისა, რათა განუსვენოს შენს სულს წიაღთა შინა აბრაამ, ისააკ და იაკობისათა. ამინ“.

დიდ-ძალი ხალხი გამოყვა ვერის ხილამდე და აქედამაც მრავალი ხალხი გაყვა ეტლებით მცხეთამდე. მათმა მეუფებამ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდი და გურია-სამეგრელოსამ—ალექსანდრემ ქალაქში ვეღარ ჩაუსწრეს გამოსვენებას, რადგან მათი მობრძანების ნებართვა დაგვიანდა დ მცხეთის საღვურთან მიეგებნენ; პანაშვილის გარდახდის შემდეგ

წარუძღვნი და მიახვეწეს საპატრიარქო მცხეთის ტაძარში. აქ ესვენა მთელი ღამე განსვენებულის გვამი, რომელზედაც პანაშვიდები სრულდებოდა სამღვდლოებისაგან. მეორე დღეს მწირველნი ბრძანდებოდნენ ყოვლად სამღვდლონი აღექსანდრე და ლეონიდი, არხიმანდრიტთა გიორგისა (ალადაშვილი) დოსითეოსისა (ბერძნიშვილისა) და მრავალ სამღვდლოთა თანამწირველობით.

განიცდაზედ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა სიონის ტაძრის დეკანოზმა მ. მარკოზ ტყემალაძემ. ანდრძის აგება შეასრულეს მათმა მეუფებამ აღექსანდრე და ლეონიდი თანამსახურებით: არქიმანდრიტების—გიორგი და დოსითეოსის, დეკანოზების—დ. ღამბაშიძის, მ. მრევლოვისა და სხვა მრავალ დეკანოზთა და სამღვდლო პირთა თანამსახურებით.

ანდრძის აგების შემდეგ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ყოვლად სამღვდლო ლეონიდიმ, ხოლო შემდეგ მოკლე, მაგრამ გრძობიერის სიტყვით მიმართა განსვენებულს ჩვენმა მსცოვანმა მღვდელ-მთავარმა აღექსანდრემ და დაახსიათა განსვენებული, აღნიშნა მისი ღმობიერება, სიყვარული მამულისა, სარწმუნოებისა, ეკკლესიისა, სამღვდლოებისა და მისის წარმომადგენელის—ეპისკოპოსისა; შემდეგ ვრცელი სიტყვა წაიკითხა რუსულად ან. ნატროშვილმა. ნატროშვილის შემდეგ სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფემ—გამსახურდიამ ამხანაგების მონდობილობით გრძობიერი სიტყვა წარმოსთქვა. მოკლე სიტყვა სთქვა ზემოხსენებულისავე სკოლის შეგირდმა გ. მაჩხელიმა. ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა ბ. ი. რატიშვილმა.

დაკრძალვა გათავდა სრულს 2 საათზედ. ხალხი დიდძალი დავსწრო. უზარმაზარი ტაძარი სავსე იყო და გაღავანშია მრავლად იყო ხალხი. ქირისუფალნი გაუმასპინძლდნენ მთელს ხალხს. მთელს ხალხს თავად-აზნაურობასა და სამღვდლოებას ცალკე კარებში, მდაბიო ხალხს ცალკე ტაძრის გაღავანში.

აქვე მოგვყავს სიტყვა ივ. რატიშვილისა:

„ჩვენო გულ-კეთილო და გულ-ახდილო თავადო კოსტანტინე!

ემშვიდობება დღეს სამუდამოდ შენს უსულო გვამს შენგან დავაღელული სათავად-აზნაურო სკოლა მისი გამგებელი კომიტეტით და მთელი თავად-აზნაუროთა საზოგადოება. ის კი უფრო სასურველი იყო ჩვენთვის, და შენც უფრო შეგშვენოდა, რომ

იმ დღეს მოსწრებოდი, როდესაც სათავად-აზნაურო სკოლის ახალი შენობა დამთვერებული იქნებოდა, როდესაც იმ ახალი შენობის ქედზედ ძღვეის და გამარჯვების ნიშანი გამობრწყინდებოდა, და იგი ნიშანი თვალს დაუყენებდა ჩვენი ქვეყნის სიკეთის მტერთა და მბრძოლთა. მაშინ, იმ მომავალს საერთო დღესასწაულზედ გახარებულ საზოგადოების წინაშე მასპინძლობა შენ გერგებოდა და კიდევ მოგიხდებოდა იგი მასპინძლობა, როგორც სათავად-აზნაურო სკოლის გამგებელ კომიტეტის დამსახურებულს თავმჯდომარეს და როგორც გულუხვს ქართველ თავადიშვილსა. ეხლა კი მეტად უღროო იყო და გულის დამწყვეტი შენი დაკარგვა ჩვენთვის. სკოლისა და სასკოლო შენობის საქმის თავი და თავი მასაზრდოებელი დიხაც თავად-აზნაუროთა ბანკია, მაგრამ კერძო კაცთა დახმარებაც ძვირფასია და მადლობის ღირსი; ხოლო თავისად და თავისით დამხმარებელთაგან სასკოლო შენობის საქმეს შენისთანა დამხმარებელი და ხელის გამმართავი დღეს აქამომდე არავინ გამოსჩენია; ამიტომ დაავალა თავად-აზნაუროთა საზოგადოებამ თავის გამგებელ კომიტეტს შენი სურათის მოთავსება სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში; ასეთი პატივი საზოგადოების მხრივ ერგო განსვენებულ ღენერალს კ. შამაცაშვილს, და ეხლა მეორე შენ ხარ მართო ასე ბიტივიცემული ჯერ-ჯერობით. დიად, შენ, ძვირფასო თავადო, დაწყებულს საქმეს მხარი მიეცა და გული გაუკეთე დამწყებსა; გაჭირების დროს ხელი გაუმართე მტკიცედ, ამხნევებდი საქმის განგრძობისათვის და მომავალში ბევრსა ჰპირდებოდი კიდევ. ჩვენც იმედით სავსენი შემოგყურებდით და მოველოდით მოუთმენლედ საქმის დაგვირგვინების დღეს და საერო დღესასწაულს შენი თანადასწრებით. არც შენი ხნიერება, არც შენი შეძლება, არც შენი სიტყვა საბუთს არ გვაძლევდა, რომ ჩვენი იმედი უსაფუძვლოდ ჩაგვეთვალა. მაგრამ შეშურდა თავისებურად სიკვდილს შენთვის იგი სასიხარულო დღე და მოგისპო სიკოცხლე, დაჰკარგა კომიტეტმა თავმჯდომარე და სასკოლო შენობის საქმემ წამხალისებელი და იმედების მომცემი... მადლობა დმერთსა, იმდენი მაინც მოასწარი, რომ ხსენება კეთილი დასტოვე მტკიცედ სკოლის ცხოვრებაში. ვერ დავივიწყებთ იმასაც, რომ შენი შემწყობით

არამდენმამე ახალგაზღვრულმა უმაღლესი განათლება მიიღო; ამ ახალგაზღვრულთა შორის ორი ქართველი მაჰმადიანიც გამოერია; ერთი ამ ორში ბედის უკუღმართობამ უღრროდ და უღმრთოდ წაგართვა შენ და საზოგადოებას, მეორე კი, ესლა ახალგაზღვრულ იურისტი, სახელმწიფო სამსახურში მყოფი, შენთან დამეგობრებული, მწარედ ჰგლოვობს სხვებთან ერთად შენს დაკარგვასა \*).

ხოლო ამერეთის თავად-აზნაურობას, გარდა სწავლა-განათლების საქმისა, სხვაფრივაც გაუწიე სამსახური შენი წინამძღოლობის დროს. აქ ერთს მოვიხსენიებთ: როგორც მაშინდელს მარშალს, თავად-აზნაურთა საგანგებო კომისიამ ვადმოგვცა ასასრულებლად თვისი ვადაწყვეტილება არწრუნისეული ქარვასლის ჩვენი თავად-აზნაურობის სახელობაზედ შესყიდვის შესახებ; შენც ცხარედ მოჰკიდე საქმეს ხელი, და იქნება, შენებური სიფიცხე, მოურიდებლობა და უკანდაუხვეწელობა რომ არ ყოფილიყო, ეს ძვირფასი ქარვასლა ჩვენს თავად-აზნაურობას ხელიდან წასვლოდა და სულ სხვის ხელში ჩავარდნილიყო; შენ დაავიწყებინე საქმე და ჩაბარე თავად-აზნაურობას ძვირფასი ქონება, და მას აქეთ ეწოდა ამ ქონებას ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლა. ესლა ჩვენს თავად-აზნაურთა ხელშია ამ ქარვასლის მოხმარება: დააქციეს თუ ააშენებს, დაჰკარგავს თუ შეინახავს, მეტად საქირო საქმეს მოახმარებს მის შემოსავალს თუ ნაკლებ საქირო საქმეს—აქ შენ პასუხის მგებელი არა ხარ და არავითარი ბრალი არ დაგედება. შენ შენი ვალი პატიოსნად მოიხადე ამ საქმეში და მადლობის მეტი არა გეკუთვნის რა ჩვენგან.

ასეთი სამსახური გაუწიე სწავლა-განათლებას ჩვენს ქვეყანაში და ასე დაავალე ამერეთის თავად-აზნაურობა. ჩვენ არ დავამცირებთ შენი მოღვაწეობის გაზვიადებით; ასეთი გაზვიადება შეურაცხყოფა და არა ქება და შემოკობა. არა, შენ არ დაბადებულხარ გმირად და გმირული მკლავი არა გქონია; ამიტომ ვერც ჩვენ გიხსენიებთ გმირად: არცა ყოფილხარ დამწყები დიდი საქმისა და არც დამავიწყებელი; არც კერპნი შეგიმუსრავს და არც ახალი საკურთხეველი აღგიმართავს ერისათვის; აი,

ტაძარი დიდებული, შენი საგვარეულო ადგილსაკრძალავი: შენი შეწირულება ამ ტაძრის განახლებისათვის იმოდენი იყო, რომ ყველა სხვის შეწირულებას აღემატა; მაგრამ დღეს იგი ტაძარი ისევ დაღრეჯით და ცრემლთა ფრქვევით გვევედრება ჩვენ ყველას განახლებისათვის დახმარებას... დიად, ვერ შესძელ, ვერ მოავგარე საქმეთა დიდთა ქმნა; მაგრამ ის კი გააკეთე, რაც შესძლო და შეიგნო შენმა ბუნებამ; ყველას არ ერგება ამირანობა, ან კახაბერობა. შენ ის გააკეთე, რაც მოახერხე შენი ვარემოებისა და შენი სულის თვისების კვალობაზე. ამისთვის გამდლობთ შენ ამისთვის, გარჩევით სხვებისაგან და პატივისცემით გისტუმრებთ ყველანი საუკუნოდ განსასვენსა ალაგსა. მშვიდობით, ჩვენო გულ-კეთილო, ხშირად გულფიცხო და სილადეს ჩვეულო თავადო კოსტანტინე! საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა შენი“.

### პატრი ანსელმო მღებრიშვილი.

(ბათუმის ახალი ეკლესიის დამფუძნებელი)

მაისის ოთხს ბათუმში აკურთხეს რომის კათოლიკეთა ახალ ეკლესია, რომლის საძირკველის ჩამყრელი არის და ახლა იმის დამთავრებასა და კურთხევასაც მოესწრო, ამ ემად ლოგინად მყოფი, 50 წლის მღვდელი ანსელმო მღებრიშვილი.

მ. მღებრიშვილი ქუთაისელია, ღარიბი კაცის შვილი. ეკურთხა მღვდლად 1870 წლებში, იყო წინამძღვრად ცოტა ხანს მოზდოკს, გორს და თავის დედა ქალაქ ქუთაისს. ბათუმის შემოერთების შემდეგ 1878 წელს ბათუმში ბევრი კათოლიკე გადასახლდა ახალციხესა და ქუთაისიდან. ამავე დროს ქალაქს მოემატა ამავე სარწმუნოების ნემეცი, ფრანგი და პოლონელი, ასე რომ საკმაოდ დიდი მრევლი გაჩნდა რომის კათოლიკე სარწმუნოებისა. ამ ხანებში მამა ანსელმომ დაიწყო სიარული ბათუმში მრევლის მოწვევით და საბოლოოთადაც იქ დაბინავდა საღმრთო მსახურების ასასრულებლად. წირვა-ლოცვისათვის კერძოდ დაქირავებული სახლები ჰქონდა; ბევრი გაქირავება გამოიარა ამ ხანებში. ბოლოს დაიბადა აზრი საკუთარის ეკლესიის აშენებისა. დიდი ღვაწლი დასდვა ამისათვის მამა ანსელმომ. იმოუწა მრევლის დახმარებით (მათში ბატონ ნიკოლოზ საბაშვილის შრომით) ადგილი 1896 წ. და საძირ-

\* ეს ჯერ ერთად-ერთი მაგალითია, რომ ჩვენს განათლებულ კაცთა შორის მაჰმადიანი ქართველიც გამოერია შენის წყალობით.

კველი ჩაჰყარა ეკკლესიისა. ნელ-ნელა შენდებოდა წვრილ-წვრილად მრველში შეკრებილ ფულით და ბოლოს სტეფანე ზუბალაშვილის შესამჩნევის შემწევობით დასრულდა ეკკლესიის შენობა. ეკკლესია რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსმა ელუარდ როპპმა აკურთხა, რომლისთვისაც იგი გაემგზავრა ტფილისიდან 2 მაისს. ბათუმის ახალი ეკკლესიის აშენებას, როგორც ამბობენ, ორას ათას მანეთზე მეტი მოუწია. იგი საქართველოს ეკკლესიებ შორის ერთი უმწვენიერესია; მამა ანსელმომ ამ ეკკლესიას მოანდომა ბევრი შრომა. ზრუნვა, ერთგულება. ასეთი ღვაწლი მიუძღვის პატივცემულ მამა ანსელმოს.

(„ცნ. ფურ.“)

**უღროოდ დაბეჭდული.**

ერთ დროს მეც ვიყავ ახალ-გაზღობით ბუნებისაგან გამწვევებული, გულიც მიცემდა სანეტაროსკენ სიამ-სალხინოდ განმზადებული.

სიკბაუკეში წინ მეშლებოდა მრავალ-ფერადი მწვენი კრებული, თავსა ვგონებდი იმათ მეუფედ ტკბილის ზმანებით აღტაცებული.

სად არა ვფრენდი ამ წარმოდგენათ ოცნებისაგან აღზვავებული, სულით უმწიკვლოს სამოთხედ მიჩნდა ქვეყანა და თან მასში კრებული!..

მაგრამა ერთხელ ჩემსა ოცნებას მსწრაფლ შეაკვეცა რალაკამ ფრთები, ასე მომესმა: „ქვეყანა სტყუის, მოჩვენებაა, ნუ ღარწმუნდები!“

რა გავიგონე ესე სიტყვები დამიშმათდა ჩემი „ოცნება“, მას აქეთია ჩემი ელფერიც ჩემსა მნახველსა რომ ეოცება!..

შამომეცალა მე მეგობარი— ჩემი „ოცნება“ აღფრთოვანებული, გზა დამილოცა „სამოღვაწეო“ სიყმაწვილემი განყენებული.

მეც დეაკვირდი გონების თვლით, ვიკლვევდი ქვეყნის სიაყ-კარგობას, თურმე მართალიც უმხილებია ჩემსა მონასმენს იმა პირველ ხმას.

გავიგე როგორც ეხლანდელ დროში სიმართლეს თაყვანს აოავინა სცემს, მართლის მხილებელს მხარს არა უჭერს და ცრუ-მეტყველს კი ხალხი პატივსცემს.

ძველად წინაპართ ჩვენთა დიდებას ერის წინსვლაში ის შეადგენდა, რომ სამართლიანს ქეშმარიტებას გზას ულოცავდა, ქვეყანას სძენდა.

მათი ღალადი „ქველის“ სიტყვებში მკაფიოდ იყო გამოსახული, სიმართლის ბქეზედ დამყარეთო სარწმუნოება და სიყვარული.

და ამა გრძნობით ის გამსქვალული სისხლსაც ანთხედა გალომებული, გული სიმართლის სიმით უცემდა სარწმუნოებით გაბრწყინვებული.

ამისთვის ეპყრათ ძლევის გვირგვინი სამართლიანი ვაჟ-კაცთ მხნეობის, ესევე იყო განმამტკიცები მათის ქველობის, მაღალ-ზნეობის.

მაგრამა, ეხლა? ეხლა რას ვხედავ! გული ბოღმით მაქვს მე აღვსებული, იმა დიდებულთ გარდმონაცემი ქვეყნის ხსოვნას აქვს მივიწყებული.

სად არს სიმართლე, სარწმუნოება, მოყვასთ თვისება და სიყვარული?! ვაჰ ჩვენს ცოდვებს! ვაჰ ჩვენს სირცხვილს! რაედენ საგრძნობლად ვართ დაჩაგრული!..

წარხდა ყოველი. ვერ გავამართლე გზა დანალოცის პირველი ხმანი, ცოდვის მორქევი ჩაფლიათ სული, ამაოდ მექმნა ცდის განზრახვანი.

ამ დროის მნახველს, თვალწინ დამსახველს მე დამიკნინდა სიმწარით გული, მით დაეჩივიდი და დაუძლორდი, უღროოდ ვიქმენ დაბეჭდული.

აწ ვეთხოვები საამქვეყნო გზას, წინაპართ საფლავს მსურს შევეფუარო, მაგრამ ვეშიშვი უღირსი შვილი, მათს შესაყრელად რა წავიმძღვარო?!

თ. როსტომ—გუძა ჩიქოვანი.

**შურნალ-გაზეთიანიდან.**

რუსეთში გამოვიდა ცნობილი მეცნიერისა და ბუბლიცისტის ბ. ნ. ჩიჩერინის შესანიშნავი წიგნი „საპოლიტიკო კითხვები“, რომელშიაც ავტორი, სხვათა შორის, მშენებრად ახასიათებს ბიუროკრატიზმს, „ჩინოვნიკურ“ წეს-წყობილებას.

„ბიუროკრატია, მისი მოწყობილება რთულიაო, — ამბობს ავტორი — ბიუროკრატიაში არ არის საჭირო პირადი თაოსნობა, არამედ მორჩილება, დისციპლინა და საქმეში ბეჯითობა. იქ ბრძანებლობს მექანიკური წესი — თვითთელი ადამიანი, იერარქიის თვითთეულ საფეხურზე წარმოდგენს პაწია ნაწილს დიდი მანქანისას, რომელიც ჰკლავს მის გულში ადგილ-მოქმედების სურვილს და ზრდის პირ-ფერობას უფროსთა და ბრძანებლობის სურვილს უმცროსთა მიმართ. ამ მანქანის მოქმედებისათვის საჭიროა სამუდამოდ შემოდებული, შეუცვლელი წესი, საჭიროა, რომ ყოველი წერილმანი გარემოება აღვიდეს მალა, იქ, სადაც ამ მთელ მანქანას განაგებენ ყველაფერს თვალ-ყურს ადევნიან. აქიდგან იბადება დაუსრულებელი ქალაქების წარმოება, რომელიც ჰკლავს აზრის თავისუფლებას, ყოველ ცოცხალ საქმეს. ისინი სულ სწერენ, სწერენ, სწერენ მყუდრო, განმარტოებულ კანცელარიებში, რომელთაც მაგრად დაკეტილი კარები აქეთაო) — სთქვა პრუსიის მოხელეებზე ბიუროკრატის მკოდნემ სახელ-განთქმულმა ბარონმა შტეინმა: «ყველასთეინ უცნობნი, უმნიშვნელონი, პაწია სულდგმულნი, ისინი თავის შვილებსაც ისე ზრდიან, რომ პაწია საწერ მანქანებად გახადონ ისინიო“.

ვერაფერი მმართველობა ვერ გაუძღვება ამდენ ქალაქების ტვირთს და მელნის მორევეში უნდა ჩაიღრჩოს. აქ საქმის უსიკოცხლო, ერთ-ფეროვანი მსვლელობაა გამეფებული, ოფიციალური ტყუილები — სიკრუვე ბრძანებლობს აქ ყველგან. ქალაქებში ყველაფერი ჩინებულად სწარმოებს, ლამაზად არის მოხსენებული და ნამდვილ ცხოვრებასთან კი არა აქვს რა საერთო.

რასაკვირველია, რომ ასეთ უსიკოცხლო, კარდახშულ სფერაში უნდა გამეფებულ იყოს მძულვაირება ადამიანის თავისუფლებისა, დაპოუკიდებელ მოქმედების მიმართ. ბიუროკრატის სძულს ერობა, მოწადინებულია ყოველ ნაირად შეზღუდოს იგი,

შეზღუდოს საზოგადოების თვით-მმართველობა და თავის უფლებას დაუმორჩილოს.

„ბაკინსკ. იზვ.“ შემდეგ საყურადღებო საკითხს ეხება:

„რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონები, როგორც ვიცით, აღიარებენ სარწმუნოების თავისუფლებას. მაგრამ კანონის ეს მოთხოვნა მეტად შეზღუდულია პრაქტიკით. აი, მაგალითად, ერთი გარემოება, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება კანონს და რომელსაც ვერავითარი მოსახრება ვერ გაამართლებს:

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ერთ კრებაზე ბევრმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ პირველ-დაწყებით სკოლებშიაც-კი ბოლოს დროს თხოულობენ, სამღვთო წერილი უთუოდ რუსულ ენაზე უნდა ისწავლებოდესო; ეს კი სრულიად ეწინააღმდეგება ხსენებულ ძირითად კანონების მე-43 მუხლს, რომელიც თხოულობს „რჯულის აღიარებას მამა-პაპის ენითა და კანონით“.

არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ასეთი წესი, — ე. ი. სამღვთო სჯულის არა მშობლიურ ენაზე შესწავლა, — პედაგოგიის წინააღმდეგია და პრაქტიკულად მძერებელი, რადგან ლოცვები და ეკლესიის წესები წმინდაა მხოლოდ იმ ფორმაში, როგორიც მამა-პაპათ უანდერძებიათ, ვამბობთ მხოლოდ, რომ ეს კანონის წინააღმდეგია და რომ შედეგად არა სასურველი გარემოება მოჰყვა: ბევრ სკოლაში სრულიად მოისპო არა მართლ-მადიდებელთა სამღვთო წერილის შესწავლა ან და შესუსტდა ამ საგნის სწავლების საქმე.

ახლა, რა კი უმაღლესი მანიფესტი ავალგებს მთავრობას — მტკიცედ დაცულ იქნას სარწმუნოებრივ თავისუფლების კანონები, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღნიშნულ გარემოებასა და ხსენებულ თავისუფლების სხვა შემაფერებელ მოვლენათ ადგილი აღარ ექნება და მათ სამუდამოდ ბოლო მოეღება. ხოლო ვისი უფლებაა ამ მხრივ დარღვეული იქნება, მათ ადვილად შეუძლიათ თავიდან აიცილონ შემაფერებელი გარემოებანი იმ ადგილობრივ მთავრობის შემწეობით, რომელიც „სასტიკად პასუხს აგებს ჩვენს წინაშე“-ო, როგორც ამბობს უკანასკნელი უმაღლესი მანიფესტი“.

ვაზ. „რუსსკ. ველომ.“ ცხება კიშინევი მომხდარ ებრაელების აკლებას და, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს:

„ბევრი მიუდგომელი და მართალი ცნობა გვიმოტიციებს, რომ ებრაელთა აკლება გამოიწვია აგრეთვე სიტყვით თუ მწერლობით ებრაელების სისტემატიურმა დევნამ, მათ წინააღმდეგ ხალხში მტრობისა და სიძულვილის გავრცელებამ; ამაში უმთავრესად ამტყუნებენ ადგილობრივ ძალიან გავრცელებულ ვაზეთს „ბესსარაბეც“-ს. მტრობისა და სიძულვილის ქადაგებას ნაყოფი უნდა გამოეყო და აი ეს ნაყოფიც თვალწინა გვაქვს. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: რა მიზანი უნდა ჰქონდეს რომელიმე ვაზეთის სისტემატიურ დევნას? გვეუბნებიან, ამით უნდა გამოიჭაღებინათ ექსპლოატაცია, ამით უნდა მოისპოს ესა თუ ის უსამართლობაო (ესე იგი, უნდა გამოიჭაღებინათ ებრაელებისაგან ქრისტიანთა ეკონომიური აწიოკებაო). მაგრამ ასეთი მხილება მიუდგომელი უნდა იყოს, არ უნდა გადაიქცეს სარწმუნოებრივ ან ეროვნულ მტრობად, არ უნდა შეიქნეს ეროვნულ დევნად, რასაც შეუძლია მხოლოდ ხალხის დაბალ გრძობათა გაღვიძება. რასაკვირველია, ის ვაზეთები არ მოისპობიან, რომელიც ერთა შორის სიძულვილსა სთესენ, მაგრამ საჭიროა, რომ ამგვარ ვაზეთების წინააღმდეგ აზხედრდეს მთელი საუკეთესო ნაწილი პრესისა, — იმ პრესისა, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ ადამიანში მხეცის გაღვიძება კი არ არის საჭირო, არამედ კაცთ მოყვარეობის და სამართლიანობის გრძობის განვითარება. სიმართლე, კაცთ მოყვარეობა და განათლება, — აი, მოტივები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საზოგადო მოღვაწემ და რომლითაც შესაძლებელია მხოლოდ სარწმუნოებრივ ან ეროვნულ მტრობის დაშოშმინება და სხვა-და-სხვა ერთა ელემენტების დაახლოება საერთო ნიადაგზე.

\* \*

10 მარტს პარიზის სამედიცინო აკადემიაში მოხდა მეცნიერთა კრება, რომელზედაც მაგარ სასმელების შესახებ სჯა ჰქონდათ. მეცნიერნი ერთხმად შემდეგ აზრს დაადგინეს:

ყველა ლიკიორები და საზოგადოდ ყველა სასმელები, რომლებშიაც სპირტი ურევია, ფრიად მაწყინარია ადამიანისათვის. ყველა სახელმწიფო იმის ცდაში უნდა იყოს, რომ, როგორც ალაგმოს მაგარ

სასმელების ვაჭრობა; თუ სრულებით არ შეიძლება მათი აღკრძალვა, სასურველია, დიდი ბაჟი მიიღოს დაედოს მაგარ სასმელებს, რომ ამით უფრო გაძვირდეს და ყველასათვის ხელ-მისაწდომი ვეღარ გახდეს.

ფრიად შემცდარი აზრია, ვითომც კამის წინად, მარგებელი იყოს არაყის, ან სხვა მაგარ სასმელის დაღვევა. აკადემიის აზრით, მაგარი სასმელი კიდევ უფრო მიწინააღმდეგეა, როდესაც კაცი უზმოზედ სვამს. ძლიერ მიწინააღმდეგეა სთვლის აკადემია იმ სასმელებსაც, რომელსაც ფრანგები aperitifs (მადის გამძსნელს) ეძახიან. ეს სასმელები ფრანგებს ძალიან უყვართ და ჰკონიათ, ვითომც მარგებელი იყოს კუჭისათვის.

ერთის სიტყვით, პარიზის სამედიცინო აკადემია ურჩევს ყველას მაგარი სასმელების დევნას. მაგარი სასმელები საწამლადაა, — გადასწყვიტა აკადემიამ.

აკადემიაში ამჟსაგანზედ ბასი აღძრა „La tribune médicale“-ის რედაქტორმა და აკადემიის წევრმა Laborde-მა, ნამდვილად კი ზემოხსენებულის გარდაწყვეტილებისა მიზეზი იყო გამოჩენილი მეცნიერი Duclaux.

ამას წინად „La Revue“-ს რედაქტორმა მიმართა წერილით ზოგიერთს გამოჩენილ მეცნიერს და სთხოვა, შეეტყობინებინათ თავიანთი აზრი მაგარ სასმელების შესახებ. მეცნიერმა Duclaux-მა თავისს საპასუხო წერილში ის აზრი გამოთქვა, რომ, საზოგადოდ მაგარ სასმელებს, — თუ კაცმა ზომიერად სვა, — არამც თუ ვნება არ მოაქვს, არამედ დიდად მარგებელია, რადგანაც სპირტს მასაზრდოვებელი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სხეულისათვისაო. მაგარ სასმელებს (ე. ი. სპირტს) ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც შაქარს და სახამებელს. ორმა ამერიკელმა მეცნიერმა მოახდინეს ცდაო, განაგრძობს Duclaux, საიდგანაც სჩანს, რომ შევიძლიანთ საქმელს სრულებით გამოაკლოთ შაქარი და სახამებელი და მათ მაგიერ აძლიოთ სპირტი და ასეთი რეჟიმი სრულებით უვნებელია ადამიანისათვის.

საზოგადოდ ადამიანს შეუძლიან დღეში დალიოს უვნებლად ერთი ლიტრი (ერთ ჰარეჭზედ კოტა ნაკლები) ღვინო, რომელშიაც 10% სპირტია.

გამოჩენილის მეცნიერის ასეთმა აზრმა ყველა გააოცა, მით უმეტეს, რომ დანარჩენმა მეცნიერებმა ყველამ უარპყვეს, მაგარ სასმელების სარგებლობა და ერთხმად გამოაცხადეს დიდი მანებლობა ამ სასმელებისა.

მეჩნიკოვმა პირდაპირ სთქვა: მე დარწმუნებული ვარ, რომ სპირტი საწამლადაა.

სახელოვანი ბერტელო-კი იმ აზრისაა, რომ სპირტი კაცობრიობის გამანადგურებელია, ადამიანის გადაგვარების მიზეზია.

სპირტის წყალობით რამდენიმე ველური ხალხი სრულებით ვაჰჭრა დედამიწის ზურგზედ. უსათუოდ უნდა იყოს შემოდებული სასტიკი კანონი, როგორც სკანდინავიის სახელმწიფოებში, მაგარ სასმელების წინააღმდეგაო.

შარლ რიშეს აზრით, კაცობრიობა ბედნიერი იქნებოდა, რომ მაგარი სასმელები მოისპოს ქვეყნად.

ლინსერო და სხვებიც უარყოფენ მაგარ სასმელების სარგებლობას და დარწმუნებულნი არიან მის ენებაზედ.

კოშინევის ამბების შესახებ „ნოვოსტ“-ში დაბეჭდილია სერგეი სოლომინის წერილი ამ სათაურით: „სირცხვილია“. რუსეთში სხვა-და-სხვა ნაირად მიეგებნენ სამწუხარო ამბავსაო, ამბობს ავტორი. რასაკვირველია, არიან ისეთნი, რომელნიც ებრავლების აწიოკებამ გაახარა და „ახია!“-ო ათქმევინა. ესენი მოხსენების ღირსნი არც კი არიან... უმრავლესობა, რაღა თქმა უნდა, სწუხს.

„მაგრამ წუხილი საკმაო არ არის. სირცხვილიად, დიდ სირცხვილიად უნდა მიგვიჩნდეს ის, რომ ჩვენს სამშობლოში ამნაირი ამბები ხდება. ასეთი საქმე ბაზიბუზუკებს, ზანგებს ან პაპუსებს რომ ჩაედინათ, რაღა თქმა უნდა, არავის გაუკვირდებოდა. ველური ველურად იქცევიან, მაგრამ ესხა სამარცხვინო საქმე რუსებმა ჩაიდინეს... ესენი ხომ ჩვენ სისხლსა და ხორცს ეკუთვნიან, ჩვენი ძმები არიან, მამული-შვილნი, ერთ მორწმუნენი. განა, გავბედავთ და ჩვენსავე თავს ვავიციხავთ? აი, ამიტომ ყველა გულწრფელ რუსს სირცხვილი სწვავს... ამბობენ. ბრბო სტიქიონიაო ეს ხომ ცარიელი სიტყვაა! სტიქიონი — ანდრეანის მიწის ძვრა იყო. აქ კაცი უძღურია. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი მეცნიერნი მალე დატყეპარიტებით იწინასწარმეტყველებენ, სად როდის მოხდება მიწის-ძვრა... ნუ თუ ადამიანი მხოლოდ ადამიანის წინაშეა უძღური? ვიდრე ხალხს, ბრბოს სტიქიონად ჩავთვით, ჩვენ, ეგრედ წოდებულნი მოწინავენი, ყოველთვის უძღურნი ვიქნებით ამ ხალხის წინაშე“.

ავტორი ხსნას განათლებაში ხედავს. საჭიროა სახელმწიფომ, მოწინავე წრეებმა მთელი თავიანთი ძალ-ლონე, აი, ამ საქმეს — სწავლა-განათლების გავრცელებას მოახმარონო.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* თფილისში ჩამოვიდა უწმიდესი სინოდისკან გამგზავნილი რევიზორი ბატონი ტიხომიროვი. ამ მასმსსურემ რევიზია უნდა მოახდინოს თფილისის და ქუთაისის ეპუბრნიების სემინარიებში და სსუელაერო-სსწავლებლებში. წინა ხანებში ხშირად მოდიოდენ უწმ. სინოდისკან სემინარიების და სსწავლებლების რევიზორები, მაგრამ ბოლო დროს სრულებით აღარავინ იგზავებოდა. ამ გარემოებამ ცუდი გავლენა იქონა ჩვენს სემინარიებზე და სსწავლებლებზედ. სწორედ სს-სახარულა რევიზორის მობრძანება სარევიზიოდ. თუ ჩვენი კუთხის სსსუელაერო სსწავლებლებს იმ სხვათ და იმ აზრით დახედვენ, როგორც მაგალითად მირ-პოლსკი და სხვა მისთანანა დახედავენ ხოლმე, დიდ სარგებლობას მოუტანენ სწავლა-აღზრდის საქმეს...

\* \* ცახეთებში ვკითხულობთ: „კრავ ღ. ნ. ტოლსტოის შეცადინებოთ ჰეტერეურგში ანსდება ვეპიტარიათა კლუბი. კლუბს აზრად ექმნება ვეპიტარიათაბის გავრცელება. ამისთვის გამოსტემს წიგნაკებს, გამართავს ლექციებს და სუბრებს, აგრეთვე სსსადილოებს ვეპიტარიათათვის“. კრავ ტოლსტოის საქციელი ჩვენ მოგვაგონებს დიოკენი თფილისითვის ახარებულ დაუქანებს: თუგზა უმათ უნდა სწამოს კაცმა და ანა მოხარულ-მოხარეულიო. ნუ თუ კრავ ტოლსტოი დარწმუნებული არ არის, რომ ჩვენს ეხლანდელ დროის სსხოკადოებს ხორცის სწამის ის გერ გადახევეს თავისი სწავლით და ქადაგებოთ? ის უმჯობესი არ იყო, რომ ხალხს უქადაგოს ღოთობას თავა დაახეოს? კრავ ტოლსტოის ბრძადა თაუგანისმტემებს დიდ რამედ მიახნათ კრავის ამისთანა სურვალი. იმ დროს, როცა ერთი თემი მეორეს ახადგურებს, ლექციებს უკითხვენ ხალხს მტენარის სასმელი იხმარეთ და ხორცს ნუ სწამათ!..

\* \* 27 ანრილს საქართველოს ექსარხომა სწარა თფოთში და იქაღამ კემართა ახალ-სეხსს. შემდეგ დაათვალიერა თფილისის და მარტვილის მონასტრები. ანრილს ექსარხოთა მოვიდა ქუთაისს, დაათვალიერა გელათის და მწამეთის მონასტრეა და თფილისში დაბრუნდა იმავე დღეს.

\* \* ამ ბოლო ხანებში რკინის გზაზედ ბევრი უბედურება ხდება. ამერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს უურადდება მიუქტევაა ამ გარემოებისათვის და გარეა კანკარეულია გზისა და მოძრაობის უფროსებო-სათვის, რომ უფველი სსშუალება იხმარონ უბედურებათა თავიღამ ასაცდენად.

# სამეურნეო და ჰიგიენური

გ ა ნ ე ყ რ უ რ ი ლ ე ბ ა .

## მომხმარებლის საზოგადოება

გ უ ლ ი ს ხ მ ი ე რ მ კ ი თ ხ ვ ე ლ თ ა ნ .

### მოზარდა თაობის ჯანმრთელობის შესახებ.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ეხლანდელ ჩვენ ცხოვრებას თან დაყოლილი აქვს მრავლისაგან უმრავლესა ნაკლულევანება, განსაცდელი და მანე ვითარება. მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი განსაცდელთაგანი ჯანმრთელობის შესუსტებაა და ხშირი ავადმყოფობა. ეს მეტად საგრძნობელია და მიძიმე იმისთვისაც კი, ვინც ცხოვრებით კმაყოფილია, და, რა თქმა უნდა, ვისაც ისედაც ბევრი ტანჯვა-წვალიება ადგია, მას ხომ სულ მიძიმე უღლად აწევება. კიდევ ამისათვის ყველგან და ყოველთვის ადამიანი სულ იმის ცდაში ყოფილა და დღესაც ყოველ დონისძიებას ხმარობს, რაც შეიძლება აიშოროს სნეულების სიმწარე, გაურბის მის მანე ვაღვენას, მაგრამ ეს განუშორებელი სტუმარი არსად არა ჰშორდება კაცობრიობას და სიცოცხლეს უშეშლავს ხშირად და ძალიან ბევრსაც.

მეტადრე ეხლა ბევრი ისეთი ცვლილება დაჰყვა თანამედროვე ცხოვრებას, რომ უფრო და უფრო ხელი შეეწყო ადამიანის დასუსტებასა და დასნეულებას.

ამ ჟამად გვსურს სიტყვა ჩამოვაგდოთ ჩვენ მოზარდ თაობის ჯანმრთელობაზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც კერძო პირის, აგრეთვე მთელი საზოგადოების ცხოვრებაში. დღევანდელი ნორჩი ქალი, თუ ვაჟა ხვალ საზოგადოების მოასაკებულ წევრად უნდა გახდეს. მანაც უნდა გაუწიოს მომავალში ხელმძღვანელობა თავის საკუთარს ოჯახს და წევრობა იმ საზოგადოებას, რომელსაც ეკუთვნის. თუ მას რამე საგრძნობელი სენი ან ზიანი გასჩენია, ყოველივე ეს თან ავლევნება მის მომავალს ცხოვრებას და უმნიშვნელოდაც არ ჩაუვლის როგორც მას, აგრეთვე საზოგადოებასაც. ამიტომაც საჭიროა კარგად გავითვალისწინოთ, რა უქირს თანამედროვე მოზარდ ბავშვა ჯანმრთელობას. მაშინ, იმედია, მის ასაცდენ საშუალებასაც სანატრელ საქ-

მედ დავისახავთ და ვეცდებით, საზოგადოდ თუ არა, კერძოდ მაინც შეუდგეთ ამაზედ ზრუნვას.

თანამედროვე ქალაქებს ბევრი ნაკლულევანება აქვსთ ჯანმრთელობისათვის მეტად შემაფერხებელი. მცირე ადგილზე მრავალი სცხოვრობს, სიციწროვის გამო თვითველი სახლი ჰიგიენის მოთხოვნილები-სამებრ კი არა შენდება, არამედ მრავლის დასადგომად და უმეტესი შემოსავლის ასაღებად, ამიტომაც უმეტეს ნაწილად ქალაქის სადგომი ნესტიანიც არის, შესუთულიც და უმზეოც; სიმრავლისაგან და სიციწროვისაგან წარმოდგარი უსუფთაობა, უწმინდურების მოუშორებლობა და ხრწნა, ამ ხრწნილეებისა და სხვა და-სხვა სნეულების შთანასახებით შეზავებული ჰაერი—ყოველივე ეს ქალაქების მუდმივი სტუმარია. დაუმატოთ ამას ქალაქის მოუსვენარი ცხოვრება, მუდმივი ჰაერ-წყვეტა ლუკმა პურის მოსაპოვებლად და ადვილი წარმოსადგენია ის განსაცდელი, რაც ქალაქის მცხოვრების სნეულს ადგია, თუ ბუნებრივად განსაკუთრებული ჯანმრთელობა არ დაჰყოლია მას. უმრავლესობას-კი სხეული უსუსტდება, შეუქმნეველად და თან-შეყოლებით სნეულება ევარება და უღროოდ ედება არსებობის საზღვარი. ძალიანაც რომ სურდეს ადამიანს, მაინც თავს ვერ დააღწევს რომელიმე მანე ვითარებას. ქალაქ ადგილს ადამიანი იმას კი ვერ აირჩევს, რაც მისთვის სასარგებლოა, არამედ იმას უნდა დასჯერდეს, რაც მისთვის ხელმისაწვდომია. ამნაირად გონების მაგივრად, ქონება გამოდის მისი ხელმძღვანელი, და რასაც ეს მისი ბატონი უბრძანებს, ცხოვრებაც ისე უნდა მოაგვაროს. ეს ნაკლი მეტად საგრძნობელი გამოდის მეტადრე ჩვენში. სხვაგან, დაწინაურებულ ქვეყნებში უფრო მეტ მზრუნველობას იჩენენ ხალხის ჯანმრთელობის საქმეში. მუდამ ახალ-ახალ საშუალებას იკვლევენ მკვიდრთა კეთილ-დღეობისათვის, ბევრგვარ ღონისძიებას ხმარობენ, და მაინც ბევრი აკლიათ კიდევ სასურველ წერტილამდე მიღწევას. ჩვენ ქალაქებში-კი, არა თუ გვაკლია, არამედ არაფერიც არ არის გაკეთებული და არც იმის ნიშნებია, რომ მალე გვეღირსოს ამგვარი რამე. ასე რომ ჩვენი ქალაქების მრავალ-ფეროვანი ნაკლულევანება ჯერ კიდევ ბევრს გაადენს მუსრს, სანამ მასთან საბრძოლველად რიგიან საშუალების შემოღებას ვეღირსებოდეთ...

მაგრამ არავის ისე არა სჩავრავს ქალაქის მანე

ცხოვრება, როგორც ბავშვებს და მოზარდ თაობას. ჯერ პატარაობითვე პირველ წლებშივე მეტად ბევრი იხოცება სხვა და-სხვა ავადმყოფობისაგან. ამათი რიცხვი მეტად დიდია ყველგან და ჩვენშიდაც, რასაკვირველია, არა ნაკლები ბევრიც, რომ კიდევაც გადაურჩეს ამ-პირველ წლებს, ისე ზიანდება ჯანმრთელობის მხრით, რომ მაინც ადრე თუ გვიან სხვა-და-სხვა ავადმყოფობის მსხვერპლად ზღვება ასაკში მოსვლამდე. წარმოვიდგინოთ რომ ბავშვი გადაურჩა პირველ ხნის განსაცდელს და მიაღწია 7—8 წლის ასაკს. თუ სოფელია ქალაქს უნდა წავიდეს სასწავლებლად. ამ ხნიდგან როგორც სოფლეთათვის აგრეთვე მოქალაქეთათვისაც იწყება ახალი ხანა. ამ დრომდე ბავშვის სხეულზედ აქვს გავლენა მხოლოდ სადგომს, საზრდოს და შინაურულ ცხოვრების წეს-რიგს. ეხლა-კი იწყება გავლენა იმ სადგომისა, სადაც იგი სასწავლებლად დადის, იმ წესისა, რომელიც იქ არის შემოღებული და იმ მუშაობისა, რომელსაც მას აკისრებენ. ეს ახალი ხანა ბავშვის ნორჩი აგებულებისათვის, მეტადრე სოფლიდგან ჩამოსულისათვის. დიდ-მნიშვნელოვანი რამ არის. თვითელი წვრილმანიც-კი მეტად მძლავრად აჩენს კვალს და აქედგან იწყება საბრძენე ყოველი ბავშვის ჯანმრთელობისათვის.

ჯერ ავიღოთ სადგომი. როგორც ზემოდ გვექონდა მოხსენებული, სადგომს ხომ ჯანმრთელობის მიხედვით არავინ ირჩევს. საუკეთესო ოთახი სასტუმროდ არის გადაქცეული, ბავშვ-კი უფრო მდარე ოთახში აყენებენ. გარდა ამისა, ვინც სოფლიდგან ჩამოსულია, იმას დაეძებს, რაც შეიძლება იათად დაუჯდეს სხვასთან შეილის დაბინავება. და იათად დამჯენიც იმას სცდილობს, რაც შეიძლება ბევრი აიყვანოს. ამნაირად ბავშვებისათვის არც საკმაო ადგილია და არც საკმაო ჰაერი და მზე. არავინ მეცნიერულად თვალ-ყურის მგდებელი არა ჰყავსთ. არავინ არ ზრუნავს, ბავშვს ჯანი არ დაუსუსტდეს და სხეული არ დაეჩაგროს.

ქალაქის მცხოვრებსაც და სოფლიდგან ჩასულსაც უპაეოდ და უმზეოდ ცხოვრება უჩენს სისხლნაკლებობას, საერთო სისუსტეს, უმადობას და სხეულით დაძაბუნებას. ეს გარემოება გონებასაც უჩიუნებებს, ხელს უშლის რიგიანს სწავლას და ხშირად სასწავლებლიდგან დათხოვნით თავდება საქმეთხოვენი როგორც უვარგისს, ვითომ-და „უნიქოს“ \*)

\*) ეს ხანელწოდება ხომ ძალიან ემარჯება თანამედროვე მასწავლებელთ...

და იმს კი არავინ დაეძებს, თუ რა გარემოების ბრალი უნდა ყოფილიყო ეს და ან რამდენად შეეძლო ამას ბავშვის დასუსტება.

გარდა ამისა, თანამედროვე სასწავლებელი, რაც უნდა კარგად იყოს მოწყობილი, მაინც მოკლებულია ბევრ რამეს, რაც კი აუცილებლად საჭიროა ჰიგიენის მოთხოვნილებით. ეს მეცნიერული მოთხოვნილება ზოგი დავიწყებულია და ზოგიც განზრახ უარყოფილი. ყოველი სასწავლებელი ბუდნა მრავალ-გვარ მანენ შთანასახებისა, რომელიც მეტად ხელს უწყობენ და ხშირადაც აჩენენ სხვა-და-სხვა ავადმყოფობას. ამასთან სასწავლო ოთახებში ჰაერი დახშულია, სწავლა ხანგრძლივია, სხეულის ძალასთან შედარებით, მძიმე და მომქანცავია, მოძრაობა ძალიან მცირე, მუდმივი ხმაურობა და სულიერი მღელვარება—ყოველივე ეს ცუდად მოქმედებს ბავშვის ნორჩ აგებულებაზედ. ამის გამო ზოგს უღროოდ სხეული ექანცება, ზოგს ნერვები ეშლება, ხასიათი უფუქდება, ზოგი მთელ დღეს დაღვრემილად და ცუდ გუნებაზეა. ამაზედ ბევრს ხშირად მადა ეკარგება, და რომ კიდევაც შერჩეს მადა, საზრდო კარგად ვერ შეერგება. ამას შედეგად მოჰყვება ხოლმე სისხლის ნაკლებულება და სხეულის დაძაბუნება. ამგვარი ბავშვის სხეული უფსკრულის ნაპირზე მიმავალ ადამიანსა ჰგავს. ერთი ფეხის აცდენა, მცირე გადაქანება საკმაოა მის გადასაჩენად უფსკრული-საკენ.

უმეტეს საშიშ მდგომარეობაში არიან ისინიც, ვინც ეგრედ წოდებულ „პანსიონებში“ იმყოფებიან, სადაც ვითომ გარეგნულად ერთის შეხედვით ყოველივე წესიერად ეჩვენება ადამიანს და ნამდვილის დაკვირვების შემდეგ-კი უფრო განსაცდელშია ნორჩი აგებულება. ამის უტყუარი მოგალითები ბევრია და მეტად ხშირი თითქმის ყველა სასწავლებლებში და განსაკუთრებით სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიებში \*). ყოველივე ზემოხსენებული რომ გავითვალისწინოთ, ადვილი წარმოსადგენია ის მრავალ-ფეროვანი განსაცდელი, რომელიც ქალაქში მყოფ მოზარდ ბავშვს გარს არტყია. სანამ დასრულებოდეს მისი ზედა-განვითარება, ყოველივე ადებს კვალს როგორც გადაქარბებული და ზომას-გარდასული, ისე ნაკლოვანი და შეუფერებელიც. ერთიც

\*) ამაზედ ცალკე გვექნება საუბარი.

და მეორეც მეტად მავნებელი გამოდის ნორჩი აგებულებისათვის.

ეს გარემოება მეტად სამწუხაროა და დამალონებელი!.. თუმცა ამ ბოლო ხანებში ვითომ მეტი ყურადღება მიაქციეს მოსწავლე ბავშვთა სხეულის კეთილ-დღეობას, მაგრამ საერთო ნაკლს მარტო სიტყვით არა ეშველება—რა და რაც დღემდე იყო, ის მაინც შეუცვლელად რჩება. შემოღებულია ვითომ ვარჯიშობა ფიზიკური, ჰაერზე სიარული, წელიწადში ორჯელ-სამჯელ მოგზაურობაც, მაგრამ ისევ უსუფთაო ჰაერზე ვარჯიშობა-მოძრაობას და ათასში ერთხელ მოგზაურობას ან-კი რა სარგებლობა მოჰყვება?! ამას მხოლოდ მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, რომ შეფარდებული იყოს თვითელი სხეულის მდგომარეობასთან. თუ არის რაიმე შეფერხება ან სისხლის მიმოსვლენ ნაწილებში, ან მოძრაობის ნაწილებში,—საზრდოს მოსანელებელში ან ნერვებისაში—ამისდა მიხედვით უნდა იქნეს ხელშეწყობილი თვითელი სხეულის ვარჯიშობა. მაგრამ იმდენად ძლიერია საზოგადო უვიცობა იმისი, თუ რა არის სასარგებლო სხეულისათვის, და რა არის მავნებელი, და როგორ უნდა იქნეს საზოგადოდ ბავშვი მოვლილი და ხელმძღვანელი, რომ ამას ჯერ კიდევ მალე არა ეშველება—რა, და ცვლილებაც საკეთილო ჯერ ვერ დაეტყობა!..

ყოველ მშობელს არა აქვს საკმაოდ გათვალისწინებული, თუ რა არის ნამდვილი მიზეზი ბავშვის სისუსტისა; რამდენი ბრალი მიუძღვისთ თითონ მათ, ან წინააღმდეგ ავადმყოფობას, ან სასწავლებელში ყოფნის დროს სხვა-და-სხვა მავნე ვითარებას შინ თუ გარედ. მაგრამ ყოველი მშობელი-კი მოწადინებულია რაიმე იღონოს თავის შვილების საკეთილდღეოდ. ღირბიტი-კი არ დაიშურებს ხოლმე საამისოდ უკანასკნელ წვლილს. მაგრამ მოქმედი თუ არ ეყოლა და დროზედ ჩამგონებელი—ამ მოწადინებითაც არა გამოდის—რა. ეს თავ-გამოდებაც ფუჭი გამოდის თუ იგი დაგვიანებულია. მშობლები არც წამალს იშურებენ, ექიმებთანაც ჩამოატარებენ ხოლმე ბავშვებს, მაგრამ სხეულს მაინც არა ეშველება—რა, თუ მისი არსებობა ასატან პირობებში არ იქნა დაყენებული. ხშირად საბრალო მშობლები იმ დროს შესტრფიან, როდესაც ბავშვი სწავლას გაათავებს, და იმას კი არა ჰკრძნობენ, რომ ნორჩ სხეულში გამჯდარი სენი მეტად სამწუხარო მომავალს უქადის და მათ იმედსაც საბოლოო მოსპობას უბირებს...

როდესაც ყოველივე ამას გაითვალისწინებს ადამიანი, ძალაუნებურად უნდა სცდილობდეს ამის დასახმარებლად ხელის გამოღებას. ეს ისეთი უბრალო საქმე არ არის, რომ კაცმა ხელი აუქნიოს. დღეს ერთს უჭირს, ხვალ მეორეს და ვერაინ ვერ იქნება დარწმუნებული, რომ მის საკუთარ ბავშვსაც ესევე განსაცდელი არ მოეღოს ახლო მომავალში. რამდენ მშობელს ეწვის გული, როდესაც უყურებს დასასტებულს შვილს, რომელიც თანდათან დნება, და არავითარ იმედს გამობრუნებისას არ იძლევა. ამისათვის საჭიროა წინასწარი მზრუნველობა გაუწიოს ადამიანმა მოზარდ სხეულს და ამით მავნე გავლენას ააშოროს. მხოლოდ ამგვარ შეგნებულ მზრუნველობას მოჰყვება ხოლმე სასურველი შედეგი.

კიდევ ამიტომ ამგვარს სამწუხარო მდგომარეობას ახალგაზრდა თაობისას უცხოეთში ბევრგან გამოუჩნდა მექომავე. იგინი მძლავრად შეებრძოლენ სასწავლებელში გამეფებულ ნაკულევეანებას და ჰიგიენურ წესების უარყოფას. სხეულის განვითარებას მეტი ყურადღება მიაქციეს ახალ-გაზრდობის აღზრდის საქმეში და გამოარკვიეს კარგად ყოველი საამისო საშუალება და შემოსაღები ცვლილება. ეს საშუალება ბევრგვარია და მრავალ-ფეროვანი. ამათში ამ ჟამად ჩვენ მოვიხსენიებთ მხოლოდ ერთს, რომელსაც დიდხანია დიდი და კარგი შედეგი მოჰყვა უცხოეთში.

ეს საშუალება არის სსზაფსუფა ახალ შენების, სსზაფსუფა სამყოფების გამართვა მოზარდ ქალ-ვაჟთათვის.

შემდეგ №-ში ჩვენ გავაცნობთ მკითხველს მოკლედ: რას წარმოადგენს ეს საშუალება, რა არის მისი უმთავრესი მიზანი და დანიშნულება, რა შედეგი მოჰყვა ამ საქმეს უცხოეთში და როგორ სასურველ საშუალებად არის იგი დასახული დღეს მეცნიერებისაგან.

ექიმი ვ. ღ—ქ.





# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და კეთილშენებაზე.

ს ი ბ ყ ვ ა,

თქმული ღორქის წმ.-გ. ეკკლესიაში 1903 წ. 6 ანრილს.

საყვარელო ძმებო! დიდი სიხარული არის დღეს უყვლვან, სადაც კი ქრისტიანი კაცი ცხოვრობს. დიდი სიხარული და განცხრომა აქვთ დღეს ცათა შინა წმიდათა ანგელოსთა და ღვთის მოსავ გარდაცვალებულთა. დღეს ჩვენთვის ჯვარ-ცმული და დაფლული ქრისტე ღმერთი აღსდგა მეკდრეთით, აღადგინა ყოველნი გარდაცვალებულნი, რომლებიც სასოებით მოედოდნენ მის ქვეყანად მოსვლას, და ჩვენც მოგვცა იმედი მეორედ მოსვლის დროს მეკდრეთით აღდგომისა. ჩვენ საერთო მზიარულებას აორკეცებს დღეს სიმშენიერებ ბუნებისა, რომელიც სიკეკლუცით იზიდავს და ხიბლავს კაცის გულსა და გონებას. ამწვანებული ტყე და ველი, სხვა-და-სხვა მცენარეთა ყვავილების სუნელებით შეზავებული ჰაერი, ფრინველთა სასიამოვნო სტვენა-ჭიკჭიკი ერთმანეთს ეჯიბრებიან და თითქოს თანაურძნობენ ჩვენს მზიარულებას. დიდება შენდა, უფალო! რა უხვია ჩვენ ზედ შენი მოწყალება! რამდენი ვალადებული კაცი ცხოვრებს მდიდრულად მოწყობილ სახლებში, სადაც ჩვენისთანა პატარა კაცებს ფხვსაც არაივნ და აღკვეცივნებს, მაგრამ სად შეედრება ეს მდიდარი სახლები შენგან შემკულს და ჩვენთვის მუქთად ბოძებულ სახლს—ქვეყნიერებას. ქეშმარიტად სამოთხის მსგავსია ქვეყნიერება ნამეტურ ამ დიდებულ დღეს; მაგრამ კიდევ როდის უფრო დამეგვანება ეს ქვეყანა სამოთხეს? როდესაც ერთმანეთი ძმებივით გვეყვარება. წარმოიდგინეთ, რა მადლი იქნება იმ ოჯახში, რაც უნდა მდიდარი იყოს იგი, როდესაც ძმებს ერთმანეთი არ უყვართ, შეილები დედ-მამას პატივს არა სცემენ და მშობლებიც ისე არ ექცევიან შვილებს, როგორც რიგია? ასეთი ოჯახი სწო-

რედ ჯოჯობეთის მსგავსია. ასეა ის დიდი ოჯახიც, რომელსაც ქვეყანა ჰქვია. რა ღვთის მადლი იქნება ქვეყანაზე და რა სიამოვნება შეეძლება ბუნების სიმშენიერეს, თუ კი ერთმანეთი არ გვეყვარება და ერთმანეთის კარგი არ გვასიამოვნებს? მაგრამ ბრალი როგორც კერძო ოჯახში, ისე საზოგადოებაშია: იმას დაედება ღმერთიც იმას მოკითხავს, ვინც თავისი დაუდგრომელი ხასიათით თითონაც იმწვარებს და სხვებსაც უმწვარებს სიცოცხლეს. ამის მოგონებით გვეყვარდეს, ძმებო, ერთმანეთი, როგორც ჩვენი თავი; ნუ ვზავრავთ ერთმანეთს; გულშიაც კი ნუ ვავიტარებთ ამპარტავენებას, სიძულილს, კიცხვას, შურს, ანგარებას და სხ. ბიწიერებას. გვახსოვდეს, რომ ყოველივე ამაო არის კაცობრივი და საუკუნო ცხოვრებისათვის არათერი არ გამოგვადგება კარგი კაცობის მეტი.

ეხლა მოვილოცავთ დღესასწაულს და გისურვებთ მრავალჯერ დასწრებოდეთ იმ საღმრთო მზიარულებას, რომელსაც ყოველი თქვენგანის გული გრძნობს დღეს. ნამეტურ გისურვებთ: თქვენი სიყვარული ას წილად მეტი ყოფილიყოს იმ დროს, როდესაც ქრისტე ღმერთი მეორედ მობრძანდება და ჩვენ ყველანი წარსდგებით მის წინაშე. გაგვახლოს ღმერთმა ღირსი იმ დროს მართალთა შორის დგომისა. ამინ.

მღ. ს. ჭუმბურიძე.

## სახელმძღვანელო, საყურადღებო, საქმირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

### საეჭუო ვითხეების განმარტება.

კით. ერთ ეკკლესიაზედ მსახურებენ ორი მედავითნე. ერთ მათგანს შეუძლია აწარმოვოს საეკლესიო საბუთები. ვალდებულია მეორე მედავითნე საბუთების კეთების საშრომი ვადაიხადოს, თუ თავისუფალია ამ შრომისაგან?

მაგ. მედავითნე ორი იქნება თუ სამი, ვალდებულნი

არიან საეკლესიო საბუთები აწარმოვონ. თუ ერთ მათგანს არ შეუძლია საბუთების წარმოება, რასაკვირველია, ვალდებულია სხვა დაიხმაროს, როგორც სურს და აწარმოებინოს. უეცობით თავს ვერ გაინთავისუფლებს მედავითნე. დღეს მაინც საბუთების წარმოების უკოდინარ მედავითნეთ იშვიათად შეხვდებით...

კით. მედავითნესთან ერთად სცხოვრებენ მისი ძმანები. როცა მათ მღვდელ-მოქმედება სჭირდებათ და უსრულებს მღვდელი, კანონით დადებული საშრომი სასყიდელი ერგება წესის ამსრულებელ მღვდელს თუ არა?

მიგ. რასაკვირველია ერგება სასყიდელი თუ კი მოითხოვს მღვდელი მისი მედავითნის ოჯახისაგან.

კით. ყულაბების გახსნის დროს, შესავალ-გასავლის წიგნებისა და ფულების შემოწმების დროს არის თუ არა საჭირო, რომ მედავითნენი დაისწრონ?

მიგ. კრებული ვალდებულია, რომ ყველა მედავითნენი დაისწროს ყულაბების გახსნისა, წიგნებისა და ფულების შემოწმების დროს.

კით. ფოსტა ვალდებულია თუ არა, რომ მღვდლებისაგან საქმის მიწერ-მოწერა მიიღოს და გაგზავნოს უფულოდ?

მიგ. საფოსტო კანონების დადგენილებით—30 მუხ. თანახმად, ფოსტა ვალდებულია საქმის მიწერ-მოწერა და მოხსენებანი მღვდლისაგან მიიღოს გასაგზავნად უფულოდ: კონსისტორიისა და კანტორის სახელზე, ბლადოჩინებისა და სხვა მოსამსახურე პირთა და დაწესებულებათა სახელზე, რასაკვირველია თავის თანამდებობისამებრ და არა კერძოდ თავის საქმეების შესახებ.

კით. შეუძლია თუ არა ძველი მოძღვარის ნება დაუთვრელად აღსარება უთხრას სხვა მღვდელს კაცმა? ანუ შეუძლია თუ არა ძველი მოძღვარის ნება დაუთვრელად რაიმე მღვდელ-მოქმედება შეუსრულოს სხვა მოძღვარმა?

მიგ. ყოველ კაცს შეუძლია საჭიროების დროს ვისთანაც სურს, იმასთან აღიაროს აღსარება. ამხე ნებართვა ძველი მოძღვრისა საჭირო არ არის. მაგალითად, ვინმე შორს წავიდა სამუ-

შოდ და ზიარება სურს. ნუ თუ მას არ შეუძლია აღსარება უთხრას სხვა მღვდელს და ეზიაროს? ისეთი მღვდელ-მოქმედება, რომელსაც ადგილობითი მრევლის მღვდელი შეუსრულებს, რასაკვირველია მან უნდა შეუსრულოს და თუ სხვაგან იმყოფება, მაშინ იქაური მღვდელიც შესაძლებს.

კით. კაცი გაგზავნეს უფალო ღირსება ახდელი ციმბირში; დარჩა ამ კაცს ცოლი უპატრონოდ. შეუძლია თუ არა მისთხოვდეს ქალი სხვას, ან ვის უნდა სთხოვოს გათხოვების ნებართვა?

მიგ. დარჩენილმა ცოლმა უნდა მიართვას სინოდალნი კანტორას თხოვნა და ითხოვოს გვირგვინის კურთხევის გაუქმება და ქორწინების კავშირის გაუქმების შემდეგ, შეუძლია მისთხოვდეს სხვას კანონიერი ქორწინებით და მღვდელსაც მხოლოდ მაშინ შეუძლია გვირგვინის კურთხევა.

#### რედაქციის პასუხი.

მღ. ბ. ლუ — ძეს. თქვენგან დასახელებული კითხვები მრავალჯერ არის განმარტებული. საჭირო ბლანკები და მოწმობები კარგა ხანია გამოგზავნეთ ამანათით.

ლადი გა — ას. თქვენი ლექსი „ხარება“ არ იმეტდება. ნათარგმნი გამოგზავნეთ და როცა გნახავთ, მაშინ გეტყვით ყოველივეს.

ურ. ჯორჯიკაის. როცა კაცი ავაზაკობაზე დამდგარა, იმასთან ლაპარაკი საძნელოა. თავის საზიზღარი მიზნის მისაღწევად, იგი არაფერს არ ზოგავს. სამწუხაროა, რომ ამისთანა კაცს ყველა ზიზღით არ ეპყრობა, არამედ პატივს ცემს და მის მაცდურებას ფარავს.



13330

# მეცნიერება

მ ე ნ ი ც ი ა ლ უ რ ი ბ ა ნ ე მ უ ც ი ლ ე ბ ა

## ბანდინება უფმ. სინოდისა.

1. 18 აპრილიდან 1903 წ. № 1723. სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოების შესახებ სასულიერო უწყებასა სამსახურისათვის.

უქაზისამებრ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა უმართებულესმა სინოდმა მოისმინა: წარდგენანი ეპარქიის მღვდელ-მთავართა, მოსკოვის სინოდალნი კანტორისა და სასახლის სამღვდლოების გამგის მათდამი რწმუნებული სამღვდლოების დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის. ბრძანეს: ძალისა გამო მომხდარ მსჯელობათა, უწმიდესმა სინოდმა გადასწყვიტა: ამასთან წარმოდგენილ სიასა შინა აღნიშნულ სასულიერო პირთ მიეცესთ სიაში მოხსენებული ჯილდოები და ეპარქიის მღვდელ-მთავართა, მოსკოვის სინოდალნი კანტორის და სასახლის სამღვდლოების გამგის საცნობლად ეს დაჯილდოების სია დაბეჭდილი იქნეს „საეკლესიო უწყებებში“.

სა სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ უწმიდესმა სინოდისკან სასულიერო უწყებასამებრ მათი იმპერატორებითი უდადებულებების დაბადების დღეს, 6 მაისს 1903 წ.

საქართველოს საეპარქოსოში. ა) დეკანოზობის სარანსით: ქ. თბილისის, მეორე სამისიონერო ეკლესიის მღვდელი სერგი გარბაღცევა; თფილისის სიონის კათედრის ტაძრის მღვ. ანტონ თოთაბაძე; სოსტუმის ეპარქიის სამრევლო სასწ. მეთვალყურე, მღვდელი ბასილი ანატრუბოვა, სოფელ სა-

რკის ეკლესიის (შორაპნის მაზრის) მღვ. აბესალომ ტყეშელაძე; სამტრედიის სოფ. ეკლესიის (ქუთაისის მაზრისა) მღვდელი გემლოზ კანდელაკია. ბ) მკერდის ჯგრაით—უწმ. სინოდისკან ბოძებულათ: თფილისის 1, სამისიონერო ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე დუნავეა; თფილისის ივერიის, (რომელიც იპოფეზა ნახალოვკაში), ეკლესიის მღვდელი მიხეილ მახათაძე; პრივოლნის ეკ. მღვ. იოანე მანსუეტკვა; სოფელ ბოდბის ეკ. მღვდელი სპირიდონ კობაძეა; დუშეთის წმ. ნიკოლოზის ეკ. მღვდელი დიმიტრი მეტრეველი; თელავის მიძინების ეკლესიის მღვდელი იოანე შაუკვა; თფილისის მამა-დავითის ეკლესიის მღვდელი ნესტორ მაჭარავა; ელიზავეტპოლის მიძინების ეკლესიის ქვეითა ჯარის მღვდელი ალექსანდრე ტატუნავა; სოფ. არკნეთის ეკ. მღვდელი გრიგოლ შავლახვა; თფილისის სიონის სობოროს მღვ. ალექსანდრე სამონავა; ხაზინადარი შუამთის მონასტრისა, მღვდელ-მონაზონი ნიკოლაძე; ქვემო-მაჩხანის მღვდელი მენთუშევა; საღმრთო სჯულის მასწ. პირველი თფილისის ქალეზის გემანაზისა, მღვდელი ნიკანდრ შაკრაძე; წინამძღვარი ბოდბის წმიდა ნინოს მონასტრისა, ილუმენია აუგენაძე (მარჯანოვი); თფილისის დიდუბის ღვთის-შობლის ეკ. მღვ. კალისტრატე ცანცაძე; ბოდბის წმ. ნინას მონასტრის მღვ. იოსებ მანაანავა; სოფელ ტანის (ზუგდიდის მაზ.) ეკლესიის მღვდელი სოფრონ თოფაძე; ფოთის ალექსანდრო-ნეველის ტაძრის მღვდელი არსენ თახაძე; მეორე ხეთის სოფლის (ზუგდიდის მაზრის) მღვდელი ოქროპირ კირია; ხაზინადარი ტობის მიძინების მონასტრის, ბერ-მონაზონი დორაძე; ს. ძვერის,

(ქუთ. მახ) მღვდელი ნესტორ რობაქაძე; გეზიის სოფლის ეკლესიის მღვდელი, რაჭის მაზრის, მიხეილ გავაშვილი; ეკონომი სოხუმის ეპისკოპოსის სასახლისა ბერ მონაზონი დრანდის მიძინების მონასტრისა ზავლე. გ) კაძალაგვათ: გიორგიწმინდის სოფლის ეკლესიის მღვდელი თეოდორე გუდასაფა; სტეფანწმინდის, დუშეთის მაზრის, სოფლის მღვდელი ნიკიფორე კანდელაკი; დაბა სურამის ეკლესიის მღვდელი იოსებ ბუბაგვა; ქვენათოკის სოფლის ეკლესიის მღვდელი თედორე ბერაძე; ზემო მაჩხაანის ეკლესიის მღვდელი იოსებ ახალქენაშვილი; მასწავლებელი თელავის სასულიერო სასწავლებლისა მღვდელი იოანე ნარეკელიავე; ნახიწენის წმინდა ელადიმერის ეკლესიის მღვდელი ანანია ქსენადოზია; თფილისის იერუსალიმის ეკლესიის მღვდელი ილარიონ ჯაშა; მცხეთის სამთავრის მონასტრის წმინდა ნინას ეკლესიის მღვდელი გრიგოლ გქელაშვილი; თფილისის ქაღების მეორე გემნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელი, მღვდელი ალექსანდრე რაჭუმცავესკა; ლეციცხეაოს სოფლის ეკლესიის, სენაკის მაზრის, მღვდელი დავით ოსაძე; ნავსაკოვის სოფლის, იმავე მაზრის, მღვდელი ლეონტო გაწერელია; საქილაოს სოფლის, იმავე მაზრის, მღვდელი ეპიფანე ხოსელია; ზედა-საჩინოს სოფლის (ზუგდიდის მაზრა) მღვდელი ნიკოლოზ კანტაჩვას; კირცხის სოფლის მღვდელი პეტრე გაშუა; უჩხობის სოფლის ეკლესიის, ოზურგეთის მაზრის, მღვდელი კასიანე დომანაძე; ქვემოზიის სოფლის, ზუგდიდის მაზრის, მღვდელი ნესტორ სასანა; მაზანდარის სოფლის ეკლესიის მღვდელი სამსონ თვალთვაძე; მონასტრის სოფლის ეკლესიის (ოზურგეთის მაზრისა), მღვდელი იესე ძამინაშვილი; ქუთათის სოფლის ეკლესიის, სენაკის მაზრისა, მღვ. გრიგოლ ცაძაძა; სმეკალავის სოფლის ეკლესიის, ოზურგეთის მაზრისა, მღვდელი ბენიამინ დღაასტა; ბათუმის ბერძენების წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი კონსტანტინე წანდუკაძე; გამოჩინებულის სოფლის ეკლესიის, ქუთათის მაზრის, მღვდელი კონსტანტინე შანაძე; მესტიის სოფლის ეკლესიის, ლენხუმის მაზრისა, მღვდელი ბესარიონ ნაჭარაძე; მაჩიხბოურის სოფლის ეკლესიის, შორაპნის მაზრის, მღვდელი სპირიდონ ჯუღელია; დვალიშვილების სოფლის ეკლესიის, ქუთათის მაზრისა, მღვდელი მიხეილ სანაშვილი; კულაშის სოფლის ეკლესი-

სის მღვდელი პორფირე კანდელაკი; ჩხერის ეკლესიის, შორაპნის მაზრის, მღვდელი რომანოზ დეკანოზაძე; ქვემო კრიხის, რაჭის მაზრის, მღვდელი პარმენ მესხა. დ) უწ. საინადის კურთხევით დრამატის მაქემათ დაჯადდებულ ანანს: ჯიხიაშის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე ნექსაძე; ვანის ეკლესიის მღვდელი იოსებ ცანატაძე; კაცხის მონასტრის მმართველი ილუმენი გრაგალია; მოწამეთის მონასტრის ეკონომი, ილუმენი სწარადახანი; ე) უწ. საინადის კურთხევით უდრამატო: თფილისის იერუსალიმის ჯვართ-ამაღლები ეკლესიის მღვდელი სტეფანე ბერაძე; გორის მიძინების ტაძრის ეკლესიის მღვდელი სიმონ დაშაურა; ყვარლის ეკლესიის მღვდელი გიორგი ფაბაძე; აწყურის ეკლესიის მღვდელი გრიგოლ ჯანჭველაძე; ალექსანდროპოლის წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი გრიგოლ ვასალაფა.

**შემაღლესი ბრძანება.**

ხელმწიფე იმპერატორმა, უქვეშევრდომილემის მოხსენების სინოდის ობერ-პროკურორის, თანახმად უწ. სინ. განჩინებისა, ექვს ამა მაისის დღესა, უმოწყალესად კეთილ ინება და ღირს ჰყოლადჯილდოებისა ქვემოხსენებულნი პირნი შემდეგი ნაწილებითა: მხახურებისთვის სავარჯიშო უწყებისამებრ:

საქართველოს საექსარხოზოში. ა) წმინდა ვლადიმირის მესამე ხანასხას ორდენით: საქართველოს სინოდ. კანტ. წვერი დეკ. ესტატე ელიავე; ქ. გორის მიძინების სობოროს დეკ. ბესარიონ თავადგარაძე; საღმრთო სჯულის მასწ. ქაღების ინსტრუქტორისა დეკ. პეტრე კანჭუყა. ბ) წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხანასხას ორდენით:—ქ. ბაქოს ალექსანდრე-ნეველის სობოროს დეკ. ალექსანდრე იუსიაცვა; წვერი სინოდ. კანტ. არქიმანდრიტი ამფიალაქე; სუჯინის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის, სენაკის მაზრის, გურიის სამეგრელოს ეპარქიის დეკ. თედორე ხაშვიტაძა; წინამძღვარი ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრისა, სოხუმის ეპარქიის, არქიმანდრიტი აურთანი. გ) წმინდა ანას მუარე ხანასხას ორდენით: თფილისის წმ. ნიკოლოზის ეკ. დეკ. სოლომონ შოშიავე; თელავის მიძინების ეკ. დეკ. მიხეილ სელავე; წინამძღვარი შემოქმედის მაცხოვრის მონასტრის გურიის-სამეგრელოს ეპარ. არქიმ. ნაკალაოზი; ქუთ. კთედრის დეკ. გამბრეელ ცაგარეაძე. დ) ანას მესამე ხანასხას ორდენით:—თფილისის კად. კორბ საღმრთო სჯულის მასწ. დეკ. ევგენი ზვერევე; გორის მიძ. ეკ. მღვ. დიმიტრი ტატავე; ერთაწმინდის ეკ. მღ. გიორგი კანტარეია; დიდი ზანის (ზუგ. მაზრა), მღ. კონსტანტინე ბერაძე; ბათუმის მთავარანგ. სობოროს არქიდიაკონი ისიდორე ხადაჩაძე; დრანდის მიძ. მონასტ. (სოხ. ეპარ.) თვუმენი სანა.